



ბრძანება N 01-02/29

ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმისა და ინსტრუქტაჟების
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების, „ბსუ-ს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობების (კორპუსების) ნუმერაციის შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2021 წლის 15 სექტემბრის N01-10/77 ბრძანების, „ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 10 თებერვლის N07-01/07 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის N01-02/266 ბრძანების, „საგანგებო მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 12 ოქტომბრის N01-02/238 ბრძანების, „ბსუ-ს შენობების (კორპუსების) საევაკუაციო გეგმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 17 თებერვლის N01-10/18 ბრძანების, „ბსუ-ში სახანძრო უსაფრთხოების დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აგვისტოს N01-10/95 ბრძანებისა და ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსის 2023 წლის 11 სექტემბრის N1116039 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა“ წინამდებარე ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.
2. დამტკიცდეს „ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმის ინსტრუქტაჟი“ წინამდებარე ბრძანების N2 დანართის შესაბამისად.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, ბსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ინტიტუტებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

რექტორი, პროფესორი

 მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმისა და ინსტრუქტაჟების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 მარტის №01-02/29 ბრძანების

დანართი N1

შინაარსი:

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	2
მუხლი 2. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა	2
მუხლი 3. შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, დამსამქებლისა და დასაქმებულის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები	2
მუხლი 4. შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები.....	3
მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები	4
მუხლი 6. თანამშრომელთა პასუხისმგებლობები	4
მუხლი 7. ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიმართ პოლიტიკის დებულებები	8
მუხლი 8. რისკების შეფასება	8
მუხლი 9. კონტრქტორებთან ურთიერთობის პოლიტიკა.....	10
მუხლი 10. ზოგიერთი უსაფრთხოების პროცედურა.....	10
მუხლი 11. სახანძრო უსაფრთხოება.....	13
მუხლი 12. ეპიდემიოლოგიურ საფრთხესთან დაკავშირებული ღონისძიებები...	15
მუხლი 13. კომპიუტერთან მომუშავე პერსონალის შრომის უსაფრთხოების წესები.....	16
მუხლი 14. პერსონალის ინსტრუქტაჟი/სწავლება	18
მუხლი 15. უბედური შემთხვევების და პროფესიული დაავადების აღრიცხვა-მოკვლევის წესი	19
მუხლი 16. საშიში შემთხვევის (ინციდენტის) მოკვლევა.....	20

ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი ან ბსუ) შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმის (შემდეგში - „უსაფრთხოების მართვის გეგმა“) მიზანია უზრუნველყოფილ იქნას უნივერსიტეტის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემო, დაცულ იქნას პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები და ვიზიტორები, თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევები და საშიში ინციდენტები.
2. „უსაფრთხოების მართვის გეგმა“ შემუშავებულია „შრომის უსაფრთხოების შეახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველზე.
3. ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის წინამდებარე გეგმა, ასევე ინსტრუქტაჟები.
4. შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმის რევიზია უნდა ჩატარდეს ყოველწლიურად.


მუხლი 2. შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა დამტკიცებულია ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 11 ნოემბრის №01-02/266 ბრძანებით და წარმოადგენს უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის საფუძველს, რომელიც გამოხატავს ძირითად ხედვასა და მიდგომებს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.

მუხლი 3. შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა, დამსამქებლისა და დასაქმებულის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ ჩამოაყალიბა მართვის ინტეგრირებული სისტემა, სადაც დეტალურად გაწერილია სამუშაო პროცესში ჩართული პერსონალის ვალდებულებები და პასუხისმგებლობები. ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისათვის და გათვალისწინებულია მათ ფუნქციონირებაში/სამუშაო ადგირილობაში.
2. შრომის უსაფრთხოების მიმართულებას ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი, რომელსაც გააჩნია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სერტიფიკატი.
3. დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი აკონტროლებს უნივერსიტეტში შრომის უსაფრთხოებას, კონსულტაციას უწევს უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შრომის უსაფრთხოების საკითხებზე და ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართ.

4. „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი უნდა ჰქონდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა.
5. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები ვალდებული არიან უზრუნველყონ სამუშაო ადგილზე საჭირო უსაფრთხოების ინსტრუქციების შემუშავება და წინამდებარე გეგმის მე-14 მუხლით - „პერსონალის ინსტრუქტაჟი/სწავლება“ - განსაზღვრული პირების მიერ დასაქმებულთათვის/პერსონალისათვის აღნიშნული ინსტრუქციების გაცნობის და მათი შესრულების კონტროლი.
6. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია პრიორიტეტს ანიჭებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების დანერგვას და მის შესრულებას, რაც მოითხოვს უნივერსიტეტის დასაქმებულთა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრას, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის მიმართულებით, შესაბამისად, უსაფრთხოების კუთხით შემუშავებული იქნება დასაქმებულთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები, რომლებსაც დასაქმებული გაეცნობა სამუშაოს დაწყებამდე და ხელმოწერით დაადასტურებს მათ შესრულებას.
7. უნივერსიტეტი იღებს პასუხისმგებლობას ეფექტურად აწარმოოს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვა. შრომის უსაფრთხოების სიტემის მთავარ ელემენტებად განვიხილავთ პოლიტიკას, ორგანიზებას, დაგეგმვას, დანერგვას, შეფასებასა და სრულყოფის ღონისძიებებს. ამასთან, შრომის უსაფრთხოების სიტემა აგებულია შემდეგ მოდელებზე:



მუხლი 4. შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები

1. უნივერსიტეტში სამუშაოდ დაიშვებიან 18 წელს მიღწეული პირები, რომელთაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და უნარები და გავლილი აქვთ შესაბამისი სწავლება მოწყობილობებთან მუშაობის, ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების წესებში.
2. სამუშაო პოზიციის ან სამუშაო პროცედურის შეცვლის შემთხვევაში უნდა მოხდეს პერსონალის გადამზადება - პირველადი ინსტრუქტაჟის ჩატარება.

3. სამუშაო სივრცეში არ დაიშვებიან ის პირები, რომელთაც კავშირი არ აქვთ შესასრულებელ სამუშაოსთან. დაუშვებელია არაქარხნული (კუსტარული) და გაუმართავი ინსტრუმენტებისა და მოწყობილობების გამოყენება.
4. უნივერსიტეტში აკრძალულია ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მიღება და არაფხიზელ მდგომარეობაში, ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირის დაშვება.
5. საწარმოო ტრამვის და უბედური შემთხვევის, პროფესიული დაავადების შესახებ დაუყოვნებლივ, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ეცნობოს სასწრაფო დახმარების სამსახურს, უშუალო უფროსს, ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს, ბსუ-ს ადმინისტრაციას და სსიპ - შრომის ინსპექციის სამსახურს.
6. მომეტებული საფრთხის დროს, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ავარია, სასწრაფოდ უნდა მოხდეს სამუშაოების გაჩერება და ამის შესახებ ეცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.
7. დაუშვებელია მუშაობის დაწყება შესასრულებელი სამუშაოს წინასწარი გაცნობისა და ინსტრუქტაჟის ჩატარების გარეშე.
8. სამუშაოს დაწყებამდე უნდა შემოწმდეს სამუშაო ადგილი;
9. დასაქმებულმა სამუშაოს დასრულების შემდეგ სამუშაო ადგილი წესრიგში და სუფთა მდგომარეობაში უნდა დატოვოს ან ჩააბაროს შემცვლელ ცვლას.
10. დასაქმებულმა ყველა ინსტრუმენტი უნდა გამოიყენოს მხოლოდ დანიშნულებისამებრ.

მუხლი 5. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობები

1. უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი არიან უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებული სამშენებლო და სხვა საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოების განმახორციელებელი კონტრაქტორი კომპანიების ხელმძღვანელები.
2. დასაქმებულთა ჩართულობა შრომის უსაფრთხოების გეგმის მოთხოვნების ძირითადი ასპექტია. უნივერსიტეტის დასაქმებულებსა და მათ წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა, დრო და რესურსები, რათა მონაწილეობა მიიღონ შრომის უსაფრთხოების საკითხების შეფასებაში და ჩართული იყვნენ უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის, უსაფრთხოების საკითხების განხორციელების, ტრენინგების, შეფასებისა და კორექტირების პროცესებში.
3. უნივერსიტეტი წახალისებს დასაქმებულთა ჩართულობას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით: დასაქმებულთა ჩართულობის მხარდაჭერა ჩართულობის ხელისშემშლელი ბარიერების იდენტიფიცირებისა და მოშორების გზით, უნივერსიტეტში ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების ჯგუფის შექმნა, ან დასაქმებულთა წარმომადგენლების არჩევა; დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენლების ტრენინგის უზრუნველყოფა, მათთან კონსულტაცია უსაფრთხო სამუშაო გარემოს ყველა ასპექტის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან; უსაფრთხოების საკითხებში აქტიურად ჩართული თანამშრომლების სხვადასხვა სახით წახალისება;

მუხლი 6. თანამშრომელთა პასუხისმგებლობები

1. უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა, რასაც მნიშვნელოვანი გავლენა ექნება უსაფრთხოებაზე და ინციდენტებისა და საფრთხის პრევენციაზე.

2. თითოეული თანამშრომელი ჩართულია შრომის უსაფრთხოების მართვის პროცესში ტრენინგების საშუალებით, მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ საფრთხეების გამოვლენაში, შეფასებასა და მართვაში.

3. სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტი, რისთვისაც:

- ა) ზრუნავს, რომ საფრთხის არსებობისას დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას ზიანი არ მიაღწევს;
- ბ) უზრუნველყოფს, რომ ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური საფრთხის შემცველმა ფაქტორებმა დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას საშიშროება არ შეუქმნას;
- გ) კანონმდებლობით დადგენილი წესით აღრიცხავს სამუშაო სივრცეში უბედურ შემთხვევებს, პროფესიული დაავადებების შემთხვევებს;
- დ) რეგულარულად ამოწმებს ტექნიკური აღჭურვილობის უსაფრთხოების მდგომარეობას;
- ე) დასაქმებულთა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად ახორციელებს პრევენციულ ღონისძიებებს, აფასებს რისკებს, ზრუნავს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე;
- ვ) უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით შესაბამისი დასაქმებულთა აღჭურვას;
- ზ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტს პირველადი დახმარების საშუალებებით;
- თ) სათანადო დონეზე უზრუნველყოფს სამუშაო სივრცეში სანიტარიულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვას;
- ი) უზრუნველყოფს პერსონალისთვის შესაბამისი სწავლების ჩატარებას;
- კ) სამუშაო პროცესში პერსონალისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში უზრუნველყოფს ზიანის ანაზღაურებას;
- ლ) უზრუნველყოფს მომეტებული საფრთხის შემცველ მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაო ადგილებზე დასაქმებული ყველა თანამშრომლის უბედურ შემთხვევაზე დაზღვევას.

4. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა:

4.1 უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულის (ფაკულტეტი, ინსტიტუტი, დამხმარე სტრუქტურული ერთეულები (დეპარტამენტი/სამსახური/განყოფილება/ცენტრი) ხელმძღვანელი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან ერთად, წარმოადგენს მის დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულში შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულება. ამ პასუხისმგებელმა პირმა უნდა უზრუნველყოს:

- ა) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან ერთად გააკონტროლოს სამუშაოთა უსაფრთხოების პროცედურა და უზრუნველყოს მისი შესრულება;
- ბ) შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან ერთად მოახდინოს სამუშაოების უსაფრთხო წარმოების საკითხების განხორციელება და კონტროლი;
- გ) დაესწროს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარებულ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს და უზრუნველყოს განხილული საკითხების განხორციელება;
- დ) ორგანიზება გაუწიოს და უზრუნველყოს თანამშრომლების მიერ უსაფრთხოების ინსტრუქტაჟზე დასწრება;
- ე) მოახდინოს მომხდარი ინციდენტის მყისიერი შეტყობინება უშუალო ხელმძღვანელებისა და დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურისთვის;
- ვ) ჩაერთოს ინციდენტის გამოკვლევის პროცესში და უზრუნველყოს მოკვლევის ორგანიზატორების სრული მხარდაჭერა;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სტრუქტურულ ერთეულში არსებული ხელსაწყოების, მოწყობილობების და ინსტრუმენტის ზედამხედველობა, იზრუნოს მათ გამართულობაზე;

5. დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური:

5.1 დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტების) ძირითადი მოვალეობაა უსაფრთხოების მოთხოვნების, წესებისა და პროცედურების შემუშავება, დანერგვა და კონტროლი. დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახური ანგარიშვალდებულია რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიმართ.

5.2 დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:

- ა) შეიმუშაოს და დანერგოს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის პროცედურები, წესები და მოთხოვნები და მოახდინოს მათი პერიოდული განახლება;
- ბ) უზრუნველყოს აღნიშნული საკითხების შესრულების მონიტორინგი;
- გ) მუდმივად იზრუნოს უსაფრთხოების სისტემის გაუმჯობესებაზე;
- დ) უზრუნველყოს სამუშაო ადგილზე არსებული რისკების შეფასება, საფრთხეების იდენტიფიცირება და მაკონტროლებელი/პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა;
- ე) შეიმუშაოს უსაფრთხოების ინსტრუქციები მომუშავეთა პოზიციების, სამუშაო სპეციფიკის შესაბამისად;
- ვ) შეიმუშაოს თანამშრომელთა ტრენინგის გეგმა უშუალო ხელმძღვანელთან შეთანხმებით;
- ზ) უზრუნველყოს თანამშრომლებისთვის ტრენინგის ჩატარება ან მათი ინიცირება, სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე თემების შერჩევით;
- თ) აწარმოოს ინდიცენტის მოკვლევა, მისი გამომწვევი მიზეზის დადგენით, და უზრუნველყოს პრევენციული ზომების შემუშავება ინციდენტის განმეორების თავიდან აცილების მიზნით;
- ი) ჩაატაროს ობიექტების ინსპექტირება და ობიექტის უსაფრთხოებისათვის განკუთვნილი ინვენტარის გაუმართაობის, უსაფრთხოების კუთხით არსებული სხვა ხარვეზების და დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოამზადოს და ბსუ-ს ადმინისტრაციას წარუდგინოს შესაბამისი ანგარიშები;
- კ) დაესწროს სამუშაო შეხვედრებს (თათბირებს) და უზრუნველყოს არსებული უსაფრთხოების საკითხების განხილვა მათი დროული და ეფექტური გადაჭრის მიზნით;
- ლ) უზრუნველყოს მიმდინარე სამუშაო პროცესების კონტროლი და მომსახურე პერსონალს აუხსნას უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის აუცილებლობა;
- მ) საჭიროების შემთხვევაში გაუწიოს პირველადი დახმარება დაზარალებულს;
- ნ) შეიმუშაოს საგანგებო მართვის გეგმები;
- ო) უზრუნველყოს გეგმიური სარემონტო სამუშაოების მუდმივი კონტროლი და უსაფრთხოების წესების დაცვა;
- პ) ზედამხედველობა გაუწიოს კონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოს და მოითხოვოს კანონმდებლობით განსაზღვრული უსაფრთხოების პროცედურების და წესების დაცვა.

6. დასაქმებულთა ვალდებულებები:

ა) იხელმძღვანელოს ამ წესით, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა ინსტრუქციებით და დაემორჩილოს დამსაქმებლის მიერ დადგენილ სამუშაო პროცედურებს;

ბ) შეასრულოს სამუშაო, მართოს და გამოიყენოს სამუშაო ტექნიკა, მასალები, საშიში ნივთიერებები და სხვა საშუალებები დადგენილი წესების მიხედვით, ტრენინგებზე და მუშაობისას მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის შესაბამისად;

გ) მართოს სპეციალური წესების მიხედვით განსაზღვრული, მომეტებულ საფრთხესთან დაკავშირებული სამუშაო ტექნიკა და შეასრულოს სამუშაო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქვს შესაბამისი კომპეტენცია, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ სამუშაოს შესრულება დამსაქმებელმა დაავალა;

დ) თვითნებურად არ გამოართოს, არ შეცვალოს ან არ მოხსნას სამუშაო ტექნიკის, აპარატის, ინსტრუმენტის, დანადგარის ან აღჭურვილობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დამცავი მოწყობილობები და აღნიშნული მოწყობილობები დანიშნულებისამებრ გამოიყენოს;

ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები გამოიყენოს ინსტრუქციების შესაბამისად, შეინახოს მუშა მდგომარეობაში და დააბრუნოს მათთვის განკუთვნილ ადგილზე;

ვ) დაუყოვნებლივ წარუდგინოს ბსუ-ს ხელმძღვანელობას ან შრომის უსაფრთხოების სამსახურს ინფორმაცია ნებისმიერი ხარვეზის შესახებ, რომელმაც შეიძლება სამუშაო სივრცეში საშიშროება შეუქმნას შრომის უსაფრთხოებას ან გამოიწვიოს უბედური შემთხვევა ან საშიში შემთხვევა, აგრეთვე თავისი შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს ამ ხარვეზის აღმოფხვრაში;

ზ) დაესწროს უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ შრომის უსაფრთხოების შესახებ ტრენინგებსა და საინფორმაციო შეხვედრებს;

თ) გაიაროს პროფილაქტიკური სამედიცინო გამოკვლევები იმ სამუშაოსთან დაკავშირებით, რომლის შესრულებისთვისაც აღნიშნული გამოკვლევების გავლა აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

ი) დაიცვას შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, ექიმის და უშუალო ხელმძღვანელის მითითებები და რეკომენდაციები უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

კ) არ გამოცხადდეს სამუშაოზე ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და სამუშაოს შესრულებისას არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

ლ) გონივრული ეჭვის არსებობისას უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის/პირების მოთხოვნის შემთხვევაში გაიაროს შემოწმება იმის დასადგენად, იმყოფება თუ არა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში;

მ) დაემორჩილოს სამუშაო სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს;

ნ) თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, მომზადებისა და უნივერსიტეტის შესაბამისი წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ინსტრუქტაჟის შესაბამისად იზრუნოს საკუთარი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, აგრეთვე იმ პირების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვაზე, რომლებსაც საკუთარი მოქმედებით ან უმოქმედობით შეიძლება მიაღებთ ზიანი.

7. უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სტუდენტი და პროფესიული სტუდენტი ჯანმრთელობის და შრომის უსაფრთხოების მიზნით ვალდებულია:

ა) იხელმძღვანელოს შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციებით, სამართლებრივი ნორმებითა და სხვა წესებით და დაემორჩილოს უნივერსიტეტის მმართველობის მიერ დადგენილ წესებს;

ბ) დაიცვას ბსუ-ს ხელმძღვანელობის, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის, ლექტორის, ექიმისა და ზედამხედველი პირის მითითებები და განკარგულებები უსაფრთხოების ნორმების დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

გ) არ გამოცხადდეს უნივერსიტეტში ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში და ადგილზე არ მოიხმაროს ასეთი მდგომარეობის გამომწვევი ნივთიერებები;

- დ) გონივრული ეჭვის არსებობისას უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის/პირების მოთხოვნის შემთხვევაში გაიაროს შემოწმება იმის დასადგენად, იმყოფება თუ არა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში;
- ე) დაემორჩილოს უნივერსიტეტის სივრცეში თამბაქოს მოხმარების შესახებ აკრძალვებს.

მუხლი 7. ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიმართ პოლიტიკის დებულებები

1. უნივერსიტეტი მოთხოვს თანამშრომელს ან კონტრაქტორს ნარკოტიკების/ალკოჰოლის ტესტის ჩატარებას, თუ გაჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ მან დაარღვია ალკოჰოლის ან/და სხვა ნივთიერების მიღების აკრძალვა, რაც აშკარა ხდება ამ ადამიანის გარეგნობაზე, ქცევაზე, მეტყველებაზე და სხვა დაკვირვებით.
2. უნივერსიტეტის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი ვალდებულია, გონივრული ეჭვის არსებობისას, უნივერსიტეტის უფლებამოსილი პირის/პირების მოთხოვნის შემთხვევაში გაიაროს შემოწმება იმის დასადგენად, იმყოფება თუ არა ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაში.
3. კონტრაქტორებმა და თანამშრომლებმა, რომლებიც იღებენ ექიმის დანიშნულ მედიკამენტებს, უნდა გააფრთხილონ ზედამხედველი ამ მედიკამენტების მიღების პირობებისა და გვერდითი მოვლენების შესახებ (შესაძლებელია, ზოგიერთ წამალს არასასურველი ეფექტი ჰქონდეს, რაც რისკს შეუქმნის და საფრთხეში ჩააგდებს სხვა კონტრაქტორებს).

მუხლი 8. რისკების შეფასება

1. რისკების შეფასება არის შრომის უსაფრთხოების მართვის სისტემის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპის ნაწილი.
2. რისკისა და საფრთხის შეფასება ხორციელდება არა შერჩევითი პრინციპით, არამედ მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით, მის ყველა სტრუქტურულ, თუ ორგანიზაციულ დონეზე. ამასთან, საუკეთესო შედეგის მისაღებად რისკები შეფასება სავალდებულოა საქმიანობის განხორციელებისა, თუ დასახული ამოცანის შესრულების დაწყებამდე.
3. **რისკების შეფასების მართვა:**
 - 3.1 რისკის მართვა წარმოადგენს საფრთხეების იდენტიფიცირების, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით საჭირო კონტროლის ღონისძიებების გატარების პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე და გულისხმობს საჭირო ღონისძიებების განხორციელებას რისკის შემცირების მიზნით.
 - 3.2 რისკის მართვა წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიული მართვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს.
 - 3.3 რისკის მართვის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით შესაძლებელია გამოვლენილ იქნეს პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს ორგანიზაციის საქმიანობაზე.
 - 3.4 ორგანიზაციის ზოგადი რისკის შეფასება უნდა გამოხატავდეს არსებულ საფრთხეებს და ზოგადი კონტროლის ზომებს. პირველ რიგში უნდა დასრულდეს ასეთი რისკის შეფასება და შემდეგ უფრო კონკრეტული რისკის შეფასებები, რომლებიც შეისწავლიან ინდივიდუალურ საქმიანობებს.
4. **რისკების შეფასების პროცესის ხუთი საფეხურია:**
 - ა) საფრთხეების იდენტიფიცირება;
 - ბ) იმის განსაზღვრა, თუ ვინ შეიძლება იქნას დაზარალებული და როგორ;
 - გ) რისკებისა გაანალიზება და იმის განსაზღვრა - არის თუ არა არსებული კონტროლის ზომები ადეკვატური ან საჭიროა თუ არა მეტის გაკეთება;

დ) მნიშვნელოვანი დასკვნების ჩანაწერების გაკეთება, მონაცემთა დოკუმენტირება;

ე) შეფასებების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში განხილვა.

5. რისკებს აფასებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. რისკის შეფასებაში ჩართულია სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელიც პასუხისმგებელია/ხელმძღვანელობს შესაფასებელ პროცესს ან საქმიანობას.

6. რისკების შეფასების პროცესში უნივერსიტეტში მოხდა საქმიანობის სახეების/პროცედურების დაყოფა ცალკეულ აქტივობად/თემად. ყოველი მათგანისთვის ხდება საფრთხეების იდენტიფიცირება, პოტენციური ნეგატიური შედეგისა და რისკის ქვეშ მყოფი პირების განსაზღვრა, რეალური/მიმდინარე კონტროლის ზომების გაწერა, რაც საშუალებას მოგვცემს აღნიშნული საკითხები ერთობლიობაში გავანალიზოთ და სწორად და ეფექტურად შევაფასოთ რისკები.

7. მიმდინარე, სტანდარტულ, თითქმის მუდმივმოქმედ სამუშაო პროცესებთან დაკავშირებული საფრთხეების და რისკების ძირითადი ნაწილი, როგორც წესი, წინასწარ არის ცნობილი, შესაბამისად, ძირითადი კონტროლის ზომებიც წინასწარ განსაზღვრულია.

8. საფრთხის იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვანია, როგორც სამუშაო სივრცის/ტერიტორიის დათვალიერება, ასევე ამ ტერიტორიაზე მომუშავე შესაბამის პერსონალთან კონსულტაციები. გარდა ამისა, საფრთხის იდენტიფიკაციაში დაგვეხმარება უბედური შემთხვევის და ინციდენტების მოკვლევისა და აღრიცხვის მასალები, ასევე ზედამხედველი ორგანოს შემოწმების დასკვნები, აუდიტორული ანგარიშები, სახელმძღვანელო მითითებები და სამეცნიერო მასალები.

9. რისკის ქვეშ მყოფი პირები - თანამშრომლები და კონტრაქტორები, რომლებიც მუშაობენ სრული სამუშაო დღის განმავლობაში სამუშაო ადგილებზე, წარმოადგენენ ყველაზე აშკარა რისკ-ჯგუფებს და საჭიროებენ შემოწმებას მასზე, რომ არიან კომპეტეტური განახორციელონ მათზე დაკისრებული კონკრეტული ამოცანები.

10. რისკების კონტროლი:

10.1 რისკების კონტროლის ზომებია (საპასუხო ღონისძიებები): თავიდან არიდება (მაგ. თუ რისკი არის მიუღებელი შესაძლებელია მისი თავიდან არიდება, იმ გადაწყვეტილების არმიღების და იმ ღონისძიების არგანხორციელების გზით, რაც იწვევს რისკის წარმოქმნას); კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება, შეგუება და მონიტორინგი (მაგ. რისკი მისაღებია და ხდება მასთან შეგუება და მონიტორინგი იმ შემთხვევაში, როცა კონკრეტული საპასუხო ქმედებების განხორციელება არაპრაქტიკული ან შეუძლებელია. ასევე შეგუებას და მონიტორინგს ვახდენთ ისეთ რისკებზე, რომელთა ზემოქმედების დონე უმნიშვნელოა, მაგრამ რომელთა მახასიათებლები შესაძლებელია მომავალში შეიცვალოს) და ა.შ.

10.2 რისკის შეფასების შედეგად მიიღება გადაწყვეტილება, თუ რა სახის ღონისძიებები უნდა განხორციელდეს გამოვლენილი რისკების კონტროლისთვის და როგორია ყველაზე უფრო ეფექტიანი საპასუხო ღონისძიებების სტრატეგია.

10.3 არსებული კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობის შეფასებისას ან ახალი საპასუხო

ღონისძიების (დამატებითი კონტროლის ზომის) შემოღებისას უნდა გავითვალისწინოთ რისკების კონტროლის იერარქია, რომელიც გამოიყურება შემდეგნაირად:

- ა) საფრთხის გამორიცხვა : საფრთხის წყაროს აღმოფხვრა/მოშორება;
- ბ) საფრთხის ჩანაცვლება: მასალების ან პროცესების ნაკლებად სახიფათო მასალებით ან პროცესებით ჩანაცვლება;
- გ) საფრთხის იზოლირება: საინჟინრო კონტროლის განხორციელება - საფრთხის წყაროსთან წვდომის თავიდან აცილება;

დ) პროცედურები: ადმინისტრაციული კონტროლი - შრომის უსაფრთხოებისათვის პროცედურებისა და ინსტრუქციების შექმნა, წესების შემუშავება-ცვლილება, სწავლება და ზედამხედველობის მექანიზმების შემუშავება;

ე) ინდივიდუალური დაცვის საშუალებები: გამოიყენება მას შემდეგ, რაც ყველა ზემოხსენებული რისკის კონტროლის იერარქიის საფეხურები იქნება გათვალისწინებული, გამოყენებული ან/და აღმოჩნდება არაეფექტური.

11. კომუნიკაცია და კონსულტაცია:

11.1 კომუნიკაცია და კონსულტაცია არის მუდმივი პროცესი, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ყველა დაინტერესებული პირი უზრუნველყოს საჭირო ინფორმაციით, მოახდინოს გაზიარება და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახადოს რისკის მართვასთან დაკავშირებული საკითხები, როგორც მაგალითად, რისკის ბუნება, ფორმა, მოხდენის ალბათობა, საპასუხო ღონისძიებები და ა.შ.

11.2 კომუნიკაციის დროს ხდება შესაბამისი ინფორმაციის იდენტიფიცირება და შეგროვება, რომელიც უნდა გადაიცეს იმ ფორმით და დროის იმ მონაკვეთში, რომელიც ადამიანებს დაეხმარება შეძლონ მათზე დაკისრებული მოვალეობების სწორად და უსაფრთხოდ შესრულება.

11.3 კონსულტაცია არის ინფორმაციის გადაცემის (ინფორმაციული კავშირის) ორმხრივი პროცესი, კომუნიკაცია დაწესებულებასა და დაინტერესებულ პირებს შორის იმ საკითხის გარშემო, რაც მოითხოვს გადაწყვეტილების მიღებას ან კონკრეტული მიმართულების განსაზღვრას.

მუხლი 9. კონტრაქტორებთან ურთიერთობის პოლიტიკა

1. კონტრაქტორი ორგანიზაციის შერჩევისას ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმია შრომის უსაფრთხოების გამართული სისტემის არსებობა. უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია, რომ კონტრაქტორის ვალდებულებებში მკაფიოდ და მკაცრად იყოს განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნები. კონტრაქტორთან მუშაობისას, პროცესების მენეჯმენტი მოიცავს შრომის უსაფრთხოების სისტემის მონიტორინგისა და კონტროლის ეფექტურ მექანიზმებს.
2. უნივერსიტეტის შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები კონტროლს გაუწევენ, რათა ბსუ-ს ტერიტორიაზე კონტრაქტორებმა მკაცრად დაიცვან შრომის უსაფრთხოების კანონმდებლობა და ნორმები. საჭიროების შემთხვევაში მისცემენ კონტრაქტორს მითითებებს შრომის უსაფრთხოების მიმართულებით.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს, რომ უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელმა კომპანიამ პერიოდულად წარმოადგინოს რისკების შეფასების განახლებული დოკუმენტი.

მუხლი 10. ზოგიერთი უსაფრთხოების პროცედურა

1. შრომის უსაფრთხოების პროცედურები გაწერილია საშიში ინციდენტების, დაზიანებებისა და დაავადებების თავიდან ასაცილებლად და გამოიყენება, როგორც საშუალება და სახემძღვანელო, რომელიც დაეხმარება თანამშრომლებს. წერილობითი შრომის უსაფრთხოების პროცედურები განსაზღვრავენ როგორ დაიცვან თავი და სხვები, აცნობენ რა უნდა გააკეთონ საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში.
2. უნივერსიტეტის სამუშაო სივრცეში საფრთხოს შემცველი სამუშაოებისას, პერსონალი უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი პირდი დაცვის საშუალებებით.

უნივერსიტეტის ტერიტორიაზე სამშენებლო და საინჟინრო-ტექნიკური სამუშაოების განხორციელებისას ყველა პირი უნდა იყოს ეკიპირებული სათანადო აღჭურვილობით: ჩაფხუტით, სპეციალური ფეხსაცმლით, ამრეკლზედაპირიანი ჟილეტით, სათვალით, ხელთათმანით, ხოლო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე ისინი ეკიპირებულები უნდა იყვნენ დამატებითი აღჭურვილობით: უსაფრთხოების ქამრით, სახის დამცავი ფარით, ხმაურისგან დამცავი ყურის საცობებით, რესპირატორით, სპეც. ხელთათმანებით.

3. სათვალის ტარება სავალდებულოა, როდესაც არის თვალების დაზიანების რისკი. ცალკეულ შემთხვევებში კი აუცილებელია სახის დამცავი ფარით აღჭურვა.
4. მომწამვლელ ნივთიერებებთან ურთიერთობისას, პერსონალი, აღჭურვილი უნდა იყოს: სპეციალური ხელთათმანით, რესპირატორით, სათვალით, ფართუკით (საჭიროების შემთხვევაში) და სახის დამცავი ფარით.
5. რესპირატორებით აღჭურვა უნდა მოხდეს ყველა იმ მასალასთან ურთიერთობისას, რომელიც გამოიწვევს სასუნთქი ორგანოების დაზიანებას, ასევე ყველა იმ სამუშაოს წარმოებისას, რის შედეგადაც წარმოიქმნება მტვერი ან სხვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერება.
6. აუცილებელია ნიღბებისა და სხვა სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის საშუალებების ტარება ეპიდემიოლოგიური საფრთხის არსებობისას.
7. **ელექტრო უსაფრთხოება:**
 - 7.1. ელექტრო ქვესადგურები და გამანაწილებელი ყუთები რომლებიც განთავსებულია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, უნდა იყოს ტექნიკურად გამართული, დაკეტილ მდგომარეობაში და მომსახურეობას უწევდეს სერთიფიცირებული სპეციალისტი;
 - 7.2. პერიოდულად უნდა მოწმდებოდეს ელ. სადენების და ჩამრთველების მდგომარეობა;
 - 7.3. ელექტრო სისტემას უნდა ჰქონდეს ცენტრალური ავარიული გამომრთველი, რომელიც ავარიული სიტუაციის დროს გათიშავს ელ. ენერგიას მთელს ტერიტორიაზე, რაც ამცირებს ცეცხლის გაჩენისა და ელექტროობისგან მიყენებული ზიანის საფრთხეს
- 7.4. **დაუშვებელია:**
 - ა) ელექტრო მოწყობილობის დამცავი შემოღობვის შიგნით შესვლა;
 - ბ) ელექტრო სადენებთან, მომჭერებთან და სხვა ადვილად ხელმისაწვდომ დენგამტარ ნაწილებთან შეხება;
 - გ) არასტანდარტული ელექტროგამათბობელი მოწყობილობის გამოყენება;
 - დ) ღია გამათბობელი ელემენტების მქონე მოწყობილობი უყურადღებოდ დატოვება ჩართულ მდგომარეობაში;
 - ე) დაზიანებული ჩამრთველების, ავტომატური გამომრთველების და როზეტების გამოყენება;
 - ვ) მწყობრიდან გამოსული ელექტრომოწყობილობის, ელექტროდანადგარების და ელექტროინსტრუმენტის რემონტის თვითნებურად შესრულება.
8. **ელექტროსამონტაჟო სამუშაოები:**
 - 8.1. ნებისმიერ ელექტროსამონტაჟო სამუშაოთა შესრულების დროს, უნდა განხორციელდეს გაუთვალისწინებელი ჩართვის ან გამორთვის თავიდან აცილების ღონისძიებები;
 - 8.2. ელექტრული წრედისა და აპარატურის გამოსაცდელად დენის მიწოდებისას საჭიროა დაცული იქნეს შესაბამისი წესები;
 - 8.3. კაბელური ხაზების გაყვანისას საჭიროა დაცული იქნეს კაბელების გაყვანის პროექტით გათვალისწინებული წესები.

9. დახურულ (შეზღუდულ) სივრცეში მუშაობა:

- 9.1. დახურული, შეზღუდული სივრცე არის ნებისმიერი სივრცე, რომელსაც შეზღუდული აქვს შესასვლელი და გამოსასვლელი და არ არის განკუთვნილი ადამიანის განთავსებისათვის და/ან პოტენციურად შეიცავს ატმოსფერულ ან სხვა სახის დაზიანების საფრთხეს. (მაგ. რეზერუარები, ავზები, მილები და ა.შ.);
- 9.2. ყოველთვის უნდა იქნეს თავიდან აცილებული დახურულ (შეზღუდულ) სივრცეში მუშაობა, თუ ეს გარდაუვალია, მაშინ დახურულ (შეზღუდულ) სივრცეში მომუშავე პერსონალი ვალდებულია სამუშაოს ნებართვაში დაადასტუროს აღნიშნული სამუშაოს აუცილებლობა;
- 9.3. ყოველთვის უნდა მოხდეს დახურულ (შეზღუდულ) სივრცეში რისკის ფაქტორების შეფასება და საფრთხეების ბუნების იდენტიფიცირება, რათა განხორციელდეს წარმოდგენილი საფრთხისათვის საჭირო კონტროლის ღონისძიებები;
- 9.4. უნდა იქნეს შემუშავებული სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების სისტემა, სამუშაოს შესრულების გეგმა და თანამშრომლებს უნდა ქონდეთ გავლილი შესაბამისი ტრენინგი რათა გაათვითცნობიერონ არსებული რისკის ფაქტორები და შეძლონ შესაბამისი დასკვნების გაკეთება;
- 9.5. ყველა თანამშრომელი უნდა იყოს კვალიფიცირებული და უნდა ჰქონდეს გავლილი შესაბამისი ტრენინგი დახურულ (შეზღუდულ) სივრცეში სამაშველო ღონისძიებების ჩასატარებლად შექმნილი გარემოებების შესაბამისად;
- 9.6. რისკის ფაქტორების შეფასების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში დახურულ (შეზღუდულ) სივრცეში შესვლამდე უნდა მოხდეს გაზის ან სხვა ჯანმრთელობისთვის საშიში აირების შემოწმება სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით;
- 9.7. დახურულ (შეზღუდულ) სივრცეში შესვლამდე დანადგარები/სარქველები და ა.შ. საჭიროებისამებრ უნდა იქნეს იზოლირებული და გამორთული.

10. სიმაღლეზე მუშაობა:

- 10.1. თუ სამუშაოს განხორციელება ხდება 2 მეტრზე მაღლა სამუშაო მოედანთან მიმართებით, ასეთი სამუშაო ითვლება მაღლივ სამუშაოდ და მოქმედებას იწყებს შესაბამისი პროცედურა;
- 10.2. მაღლივი სამუშაოს შემსრულებელი აღჭურვილი უნდა იყოს ვარდნის საწინააღმდეგო დამცავი ქამრით. (ერთი ან ორი კაუჭიანი ტროსით);
- 10.3. ვარდნის საწინააღმდეგო დამცავი ქამარი უნდა იყოს დათვალიერებული შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლის მიერ;
- 10.4. დამჭერი ტროსები და ჩასაბმელი კაუჭები უნდა იყოს გამართული, კარგ მდგომარეობაში და დათვალიერებული შრომის უსაფრთხოების წარმომადგენლის მიერ.
- 10.5. ღია პლატფორმებსა და სახურავებზე მუშაობისას, რომელსაც არ გააჩნია ვარდნისაგან დაცვის პირველადი სისტემა (მოაჯირები), თანამშრომლები უნდა იყენებდნენ დამცავი ღვედების სრულ კომპლექტს;
- 10.6. მაღლივი სამუშაოს განხორციელების დროს, ობიექტზე უნდა დამონტაჟდეს პირველადი დამცავი სისტემა. სისტემის მონტაჟი ხდება საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს მთავრობის 2017 წლის N477 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

11. ნარჩენების მართვა:

- 11.1. უნივერსიტეტის ობიექტებზე ნარჩენების მართვა ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტების და „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მოთხოვნების საფუძველზე. ობიექტზე დროულად უნდა ხდებოდეს ნარჩენებისა და ნაგვის შეგროვება და წინასწარ განსაზღვრულ ადგილებზე მოთავსება.
- 11.2. ყველაფერი, რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს გარემოს, მაგალითად: მტვერი, ქიმიური ნარჩენები და ა.შ. უნდა მოთავსდეს სპეციალური გამოყოფილ ბუნკერებში. ბუნკერმა ხელი უნდა შეუშალოს ზემოთ აღნიშნული ნივთიერებების გარემოში გავრცელებას.

11.3. მაღალი სართულებიდან ბუკერებამდე, ნაგვისა და ნარჩენების ჩამოსატანად, გამოყენებულ უნდა იქნას სპეციალური გვირაბები.

11.4. ბუნკერების შემოწმება უნდა მოხდეს ყოველდღიურად, წინასწარ განსაზღვრულ დროში უნდა მოხდეს მათი დაცვა.

11.5. ნაგვის გადატანა უნდა მოხდეს უსაფრთხოდ, ავტოტრანსპორტით, ქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრულ ნაგავსაყრელებზე.

მუხლი 11. სახანძრო უსაფრთხოება

1. უნივერსიტეტის სახანძრო უსაფრთხოება რეგულირდება „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილების და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აგვისტოს N01-10/95 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს სახანძრო უსაფრთხოების დებულების“ საფუძველზე, რომელიც ადგენს რეგულაციებს, პროცედურებს და ქცევის სავალდებულო წესებს, რომელთა დაცვა და შესრულება სავალდებულოა ბსუ-ს თანამშრომლებისათვის და უნივერსიტეტთან ხელშეკრულებით დაკავშირებული ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის, რომლებიც სამსახურებრივ ფუნქციებს ასრულებენ ბსუ-ს ტერიტორიაზე.

2. „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის №370 დადგენილების და ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 11 აგვისტოს N01-10/95 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ს სახანძრო უსაფრთხოების დებულების“ მოთხოვნების შესრულებაზე და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს უნივერსიტეტის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი - ბსუ-ს დაცვის და შრომის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის განყოფილების უფროსი.

3. უნივერსიტეტში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული არის საევაკუაციო გეგმები, ევაკუაციის პროცედურები, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.

4. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების და ტექნიკური საშუალებების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შრომითი ხელშეკრულებით აჰყავს ან სასმტატო განრიგით მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში გათვალისწინებულ შესაბამის თანამდებობაზე ნიშნავს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელ პირს.

5. თანამშრომლები, რომლებსაც ევალებათ უნივერსიტეტის ხალხმრავალი ღონისძიებების ჩატარება, ვალდებულნი არიან ღონისძიებების დაწყებამდე ყურადღებით დაათვალიერონ სათავსები და დარწმუნდნენ მათ უსაფრთხოებაში ხანძარსაწინააღმდეგო თვალსაზრისით.

6. ხანძრის შემთხვევაში უნივერსიტეტის პერსონალი მოქმედებს საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავეს და რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს ბსუ-ს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

7. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი და ხანძრის დროს მოქმედების გავარჯიშება:

7.1. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის ჩატარება ითვალისწინებს მსმენელების გაცნობას:

ა) უნივერსიტეტის ტერიტორიის, შენობების, მათ შორის, საევაკუაციო გზების, შიდა და გარე წყალსადენის, ხანძრის შესახებ მაუწყებლობის სისტემების მიმართ დადგენილ მოთხოვნებსა და ადამიანთა ევაკუაციის პროცესის მართვასთან;

ბ) ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარების წესებთან;

გ) ხანძრის დროს თანამშრომელთა ვალდებულებებსა და მოქმედებებთან, სახანძრო-სამაშველო სამსახურის გამოძახების წესებთან, ხანძრის ჩაქრობის საშუალებების და სახანძრო ავტომატიკის დანადგარების გამოყენების მოთხოვნებთან.

8. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება უნივერსიტეტის თანამშრომლებს სახანძრო უსაფრთხოების ძირითადი მოთხოვნების, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის საშუალებების, აგრეთვე ხანძრის გაჩენის შემთხვევაში მათი ამოქმედების წესის შესწავლის მიზნით.

9. ხასიათის და ჩატარების პერიოდულობიდან გამომდინარე, დადგენილია შემდეგი სახის ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი: საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი.

10. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდებათ:

ა) სამსახურში ახლად მიღებულ ყველა თანამშრომელს, მიუხედავად განათლებისა და პროფესიით (თანამდებობაზე) მუშაობის სტაჟისა;

ბ) უნივერსიტეტში სტაჟირებაზე/პრაქტიკაზე მიღებულ პირებს.

11. საწყისი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

ა) მონაცემებს ობიექტის ხანძარ და ფეთქებადსაშიში პირობების სპეციფიკის და თავისებურებების შესახებ;

ბ) თანამშრომლების მოვალეობებს და პასუხისმგებლობას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე;

გ) ობიექტის ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის გაცნობას;

დ) ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის დაცვის თაობაზე ბრძანებების, სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქციების, სამუშაო ადგილზე, საცხოვრებელ სათავსებში მომხდარი ან სავარაუდო ხანძრების ძირითადი მიზეზების გაცნობას;

ე) სახანძრო პროფილაქტიკის ზოგად ზომებს და ხანძრის ჩაქრობაზე მიმართულ ძირითად მოქმედებებს.

12. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება უნივერსიტეტის მოქმედ თანამშრომლებს არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

13. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის დროს მოწმდება თანამშრომლების მიერ ობიექტში დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის მოთხოვნების, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებების, ევაკუაციის გზების გამოყენების ცოდნა. განმეორებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი, ასევე ტარდება:

ა) სახანძრო უსაფრთხოების ნორმატიულ აქტებში ცვლილებების შეტანის და ახალი დოკუმენტების შემუშავების შემთხვევაში;

ბ) უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურის, მოწყობილობის, სისტემების მოდერნიზაციის შემთხვევაში;

გ) თანამშრომლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევისას, რომლებმაც გამოიწვიეს ან შეიძლება გამოიწვიონ ხანძარი;

დ) სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში ავარიების, ხანძრების შესახებ ცნობების მიღებისას;

ე) თანამშრომლების მიერ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების არასათანადო ცოდნის შემთხვევაში.

14. საწყის და განმეორებით ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი ტარდება ბსუ-ს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის - დაცვის განყოფილების უფროსის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

15. მიზნობრივი ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი უტარდება ხანძარსაშიში სამუშაოების განმახორციელებელ პირებს, სამუშაოს დაწყებამდე, ასევე სამეცნიერო ლაბორატორიებში კვლევების განმახორციელებელ პირებს, კვლევების დაწყებამდე. მიზნობრივ ინსტრუქტაჟს ატარებს, შესაბამისად სამუშაოს და კვლევის ხელმძღვანელი.

16. მონაცემები საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის გავლის შესახებ შეიტანება „სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალში“, იმ პირების ხელმოწერით, რომლებმაც ჩაატარეს და გაიარეს ინსტრუქტაჟი.

17. უნივერსიტეტში არანაკლებ 6 თვეში ერთხელ ტარდება ხანძრის დროს პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამდებობის პირების და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალის), ასევე სტუდენტების და პროფესიული სტუდენტების მოქმედებების გავარჯიშება შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემის ყველა ელემენტის გამართული მუშაობის შემოწმების პარალელურად.

18. პასუხისმგებლობა სახანძრო უსაფრთხოების წესების დარღვევისათვის:

18.1 უნივერსიტეტის პერსონალი ვალდებულია მკაცრად დაიცვას დადგენილი სახანძრო უსაფრთხოების წესი და დაემორჩილოს უნივერსიტეტის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის და საგანგებო შტაბის წევრების მითითებებს;

18.2. პირის მიმართ, რომელიც დაარღვევს სახანძრო უსაფრთხოების წესებს გამოყენებული იქნება შესაბამისი ზომები.

მუხლი 12. ეპიდემიოლოგიურ საფრთხესთან დაკავშირებული ღონისძიებები

1. ქვეყანაში ეპიდემიოლოგიური საფრთხის არსებობისას უნივერსიტეტი შეასრულებს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მითითებებსა და რეკომენდაციებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სამუშაო ადგილზე მოქნილი სამუშაო რეჟიმის შემუშავებასა და განხორციელებას, მათ შესახებ ინფორმაციის პერსონალისათვის მიწოდებას.

2. უნივერსიტეტის მენეჯმენტი უზრუნველყოფს ჰიგიენის და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის განხორციელებას, მათ შორის:

ა) ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის/გაწმენდის ხელშეწყობა;

ბ) ხელის დასაბანი/გასაწმენდი ადგილის გამოყოფა თანამშრომლებისა და მესამე პირებისთვის;

გ) ხელის გასაწმენდად გამოყენებულ უნდა იქნას სულ მცირე 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;

დ) თანამშრომელთა წახალისება, დარჩენენ სახლში ავად ყოფნის შემთხვევაში;

ე) რესპირატორული ეტიკეტის დაცვის წახალისება;

ვ) უნივერსიტეტის ერთჯერადი ხელსახოცებითა და ფეხის დაწოლით სახურავის ახდის მექანიზმით აღჭურვილი ნაგვის ყუთებით უზრუნველყოფა;

ზ) სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

3. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სხვა ღონისძიებების განხორციელებას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მითითებების შესაბამისად.

4. ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის ან/და კარანტინის გამოცხადების შემთხვევაში, სამუშაო პროცესი შეჩერდება ან გაგრძელდება დისტანციურად (შესაძლებლობის ფარგლებში),

ქვეყანაში საგანგებო სიტუაციის/კარანტინის გაუქმებამდე და სათანადო პირობების დადგომამდე.

მუხლი 13. კომპიუტერთან მომუშავე პერსონალის შრომის უსაფრთხოების წესები

1. ეს წესები განკუთვნილია ოფისის იმ თანამშრომლებისათვის, რომლებიც მუდმივად ან პერიოდულად იყენებენ პერსონალურ კომპიუტერებს ან ვიდეო სათვალთვალო აპარატურას, ასევე სპეციალისტებისთვის, რომლებიც ასრულებენ პროფილაქტიკურ და სარემონტო სამუშაოებს კომპიუტერზე ან იმ პირებისათვის, რომლებიც მათი სამუშაო დროის ნახევარზე მეტი დაკავებულები არიან მონიტორიან დანადგარებთან.
2. მონიტორიან დანადგარებთან სამუშაოზე დაიშვება პირი, რომელმაც გაიარა შრომის უსაფრთხოების პირველადი ინსტრუქტაჟი.
3. პერსონალმა უნდა გაიაროს შრომის უსაფრთხოების განმეორებითი ინსტრუქტაჟი, კერძოდ:
 - ა) მოწყობილობების შეცვლის ან მოწყობილობების განახლების დროს;
 - ბ) სამუშაო პირობების შეცვლისა და შრომის პირობების რეორგანიზების დროს;
 - გ) ტექნოლოგიური პროცესის ან შრომის უსაფრთხოების დაცვის წესების შეცვლისას;
 - დ) შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში;
4. მუშაობის პროცესში ოპერატორზე შეუძლია გავლენა მოახდინოს მავნე და საშიშმა შემდეგმა ფაქტორებმა:
 - ა) სივიწროვე სამუშაო ადგილზე;
 - ბ) სამუშაო ფართის არასაკმარისი ან ზედმეტი განათება;
 - გ) მზის პირდაპირი სხივები კომპიუტერის ეკრანზე;
 - დ) ოფისში ჰაერის დაბინძურების დონე;
 - ე) ფსიქოლოგიური და ემოციური დატვირთვა;
 - ვ) სტრესი;
 - ზ) მოწყობილობების, ხელსაწყოების, აღჭურვილობის, პროდუქციის მკვეთრი კიდეები, ბარიერები და არათანაბარი ზედაპირები;
 - თ) ფიზიკური დაძაბვა სამუშაო ადგილის ირაციონალური ორგანიზების გამო, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ხერხემლის, ფეხების, მკლავების, კისრის, თვალების კუნთების დაძაბულობას;
5. სამუშაო ადგილს უნდა ჰქონდეს საკმარისი ტერიტორია დამხმარე აღჭურვილობის და ინვენტარის რაციონალური განლაგებისათვის და იყოს მოხერხებული.
6. კომპიუტერი განთავსებული უნდა იყოს გამათბობელი მოწყობილობებიდან არანაკლებ 1.5 მ დაშორებით და მზის პირდაპირი სხივი არ უნდა ეცემოდეს მონიტორს.
7. ოპერატორის სამუშაო ადგილზე კლიმატური პირობები უნდა შეესაბამებოდეს სანიტარულ და ჰიგიენურ შემდეგ ნორმებს:
 - ა) გარემოს ტემპერატურა - 22-დან 24 ° C- მდე (ცივ სეზონში), 23-დან 25 ° C- მდე (თბილი სეზონის განმავლობაში);
 - ბ) ფარდობითი ტენიანობა - 40-60%, მაგრამ არაუმეტეს 75%;
 - გ) ჰაერის სიჩქარე - არა უმეტეს 0,1 მ / წმ.
8. მიკროკლიმატის დასაშვები პირობები დადგენილია ადამიანის დასაშვები სითბური და ფუნქციური მდგომარეობის კრიტერიუმების მიხედვით 8-საათიანი სამუშაო ცვლის პერიოდისათვის. ისინი არ იწვევენ დაზიანებას, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევას, მაგრამ ძალუძთ სითბური დისკომფორტის ზოგადი ან ლოკალური შეგრძნებების აღძვრა, თერმორეგულაციის მექანიზმების დაძაბვა, თვითშეგრძნების გაუარესება და შრომისუნარიანობის დაქვეითება.
9. მიკროკლიმატის მაჩვენებლების დასაშვები სიდიდეები წესდება იმ შემთხვევისათვის, როცა ტექნოლოგიური მოთხოვნებით ტექნიკურად და ეკონომიკურად დასაბუთებული

მიზეზების გამო არ ხერხდება მიკროკლიმატის ოპტიმალური სიდიდეების უზრუნველყოფა, კერძოდ:

- ა) გარემოს ტემპერატურა - 20-დან 25 ° C- -მდე (ცივ სეზონში), 21-დან 28 ° C- მდე (თბილი სეზონის განმავლობაში);
 - ბ) ფარდობითი ტენიანობა - 15-75%;
 - გ) ჰაერის სიჩქარე - ჰაერის ტემპერატურის ოპტიმალური დიაპაზონი სიდიდის ქვემოთ, არა უმეტეს 0,1 მ / წმ; ოპტიმალური სიდიდის ზევით, არაუმეტეს 0,2 მ / წმ;
10. მნიშვნელოვანია, რომ ოპერატორის სამუშაო მაგიდა იყოს სუფთა და თავისუფალი ზედმეტი ნივთებისაგან, სამუშაო ინვენტარი უნდა იყოს გამართული და სწორად განლაგებული.
11. დასაქმებული ვალდებულია:
- ა) დაიცვას შრომის შინაგანაწესი;
 - ბ) დაიცვას სამუშაოს აღწერილობის მოთხოვნები;
 - გ) დაიცვას აღჭურვილობის ექსპლუატაციის მოთხოვნები;
 - დ) დაიცვას ამ წესების, ელექტრო უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების და საგანგებო ვითარებაში მოქმედების წესების მოთხოვნები;

12. აკრძალულია:

- ა) ალკოჰოლის, ფსიქოტროპული, ტოქსიკური ან ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება სამუშაო ადგილზე ან სამუშაო საათებში;
- ბ) იმყოფებოდეს სამუშაო ადგილზე ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების გამოყენების შემდეგ;
- გ) სამუშაოს შესრულება ავადმყოფობის დროს, გაციების, სურდოს ან სიცხის ნიშნების შემჩნევის დროს;

13. სამუშაოს დაწყებამდე დასაქმებულმა:

- ა) დაათვალიეროს და შეამოწმოს, რომ მოწყობილობები სამუშაო რეჟიმშია, ელექტროსადენები არ არის გადახლართული, განათების დონე დამაკმაყოფილებელია, როზეტები გამართულია;
- ბ) დარწმუნდეს, რომ ელექტროგადამცემი სადენები არ ედებიან ბასრ და მჭრელ საგნებს. ასევე, ყურადღებას ამახვილებს, რომ არ მოხდეს მაგიდის/სკამის ფეხის დადგმა/გამოდება ელექტროსადენზე, ინტერნეტის და ტელეფონის კაბელებზე;

14. კომპიუტერის ჩართვისას, დაიცვას მოწყობილობის ჩართვის შემდეგი თანმიმდევრობა:

- ა) ჩაირთოს ელექტრომომარაგება;
- ბ) ჩაირთოს პერიფერიული მოწყობილობები (პრინტერი, მონიტორი, სკანერი და ა.შ.);
- გ) ჩაირთოს კომპიუტერი (პროცესორი).

15. აღჭურვილობის, ინვენტარის, ელექტრული გაყვანილობის და სხვა გაუმართაობების შესახებ უნდა ეცნობოს უშუალო ხელმძღვანელს.

16. პრობლემების აღმოფხვრამდე დაუშვებელია მუშაობის დაწყება.

17. საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს სკამის პოზიცია ისე, რომ გამოირიცხოს არახელსაყრელი პოზიები და სხეულის დაძაბულობა.

18. მუშაობის პროცესში:

- ა) განახორციელოს მხოლოდ ის სამუშაო, რომელზეც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი;
- ბ) დაიცვას სამუშაო დღის წესრიგი და სისუფთავე;
- გ) არ დაუშვას არავტორიზებული პირები თავის სამუშაო ადგილზე;
- დ) არ შეეხოს ელექტრომოწყობილობას სველი ხელებით;

ე) მოკლე ჩართვაზე ეჭვის შეტანის შემთხვევაში ელექტრომოწყობილობა დაუყოვნებლივ გათიშოს ქსელიდან და გაუმართაობის აღმოსაფხვრელად გამოიძახოს კვალიფიციური პერსონალი;

ვ) დაიცვას ჰიგიენა;

ზ) შენობის განიავების შემთხვევაში, სავალდებულოა კარების და ფანჯრის საიმედო ფიქსაცია;

თ) თვალებიდან ეკრანზე დაშორების რეკომენდირებული მანძილია 60-80 სმ ფარგლებში;

ი) გამოიყენოს შესვენებები და შეასრულოს რეკომენდებული სავარჯიშოები ფეხებისთვის;

კ) აუცილებელია ყოველ 2 საათში ერთხელ თვალების ვარჯიში თვალის კუნთების დაძაბულობის მოსახსნელად;

ლ) კომპიუტერთან სწორი მუშაობისას აუცილებელია რომ შენარჩუნებული იყოს სწორი, პოზა.

19. კომპიუტერთან მუშაობისას დაუშვებელია:

ა) პროცესორის უკანა პანელზე შეხება, როდესაც დენი ჩართულია;

ბ) პერიფერიული მოწყობილობის ინტერფეისის კაბელების შეერთება/გადაერთება,

გ) როდესაც დენი ჩართულია;

დ) მოწყობილობების ზედაპირებზე ფურცლების და სხვა საგნების დაწყობა;

ე) კლავიატურის, ეკრანის, პრინტერის და ა.შ. დასველება;

ვ) მოწყობილობის დამოუკიდებლად გახსნა და რემონტი.

20. ავარიულ სიტუაციებში:

ა) ელექტროსადენების წყვეტის, აპარატურაში სითხეების მოხვედრის, დამწვრის სუნის და სხვა გაუთვალისწინებელი სიტუაციისას დაუყოვნებლივ თიშავს მოწყობილობას ელექტროქსელიდან და აცნობებს უშუალო ხელმძღვანელს;

ბ) ნებისმიერი პროგრამული და ტექნიკური ხარვეზის შემთხვევაში აცნობებს უშუალო ხელმძღვანელს;

გ) მოწყობილობის აალების ან ხანძრის კერის შემჩნევის შემთხვევაში მოქმედებს სახანძრო უსაფრთხოების წესებით.

დ) უბედური შემთხვევისას დაუყოვნებლივ აღმოუჩენს პირველად დახმარებას;

ე) მხედველობის მკვეთრი გაუარესების, ან საგნებზე ფოკუსირების შეუძლებლობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ტოვებს სამუშაო ადგილს, ატყობინებს ხელმძღვანელს და მიმართავს ექიმს.

ვ) აცნობებს თავის უშუალო ხელმძღვანელს ნებისმიერი სიტუაციის შესახებ, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შესახებ, მათ შორის მწვავე დაავადებების ნიშნების გამოვლენის შესახებ.

21. სამუშაოს დასრულებისას

ა) გამორთოს მოწყობილობები ელექტრო ქსელიდან;

ბ) გაწმინდოს მოწყობილობები მხოლოდ ქსელიდან გათიშვის შემდეგ;

გ) მოაწესრიგოს სამუშაო ადგილი;

დ) შეატყობინოს ხელმძღვანელს ნებისმიერი გაუმართაობის შესახებ.

მუხლი 14. პერსონალის ინსტრუქტაჟი/სწავლება

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას გააჩნია საკმარისი კომპეტენცია, რათა განსაზღვროს, აღმოფხვრას და გააკონტროლოს საფრთხის შემცველი ფაქტორები და რისკები,

გამოიყენოს შრომის უსაფრთხოების სისტემა და განსაზღვროს თანამშრომელთა აუცილებელი საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

2. უნივერსიტეტი მუდმივად უზრუნველყოფს დასაქმებულთათვის ინსტრუქტაჟის/სწავლების ჩატარებას და ინფორმაციის მათთვის გასაგებ ენაზე მიწოდებას.
3. სავალდებულო ინსტრუქტაჟი/სწავლება ტარდება წინამდებარე გეგმის შესაბამისად კომპეტენტური პირების მიერ და მოიცავს ყველა თანამშრომლისთვის:
 - ა) ინფორმაციას შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სამართლებრივი ნორმების და უსაფრთხო შრომის პრინციპების შესახებ;
 - ბ) ინფორმაციას სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების და საევაკუაციო ღონისძიებების შესახებ.
4. სხვადასხვა სპეციფიკური სამუშაოების განმახორციელებელი პერსონალისთვის:
 - ა) სიმაღლეზე მუშაობა;
 - ბ) სამუშაო პროცედურების, მანქანა-დანადგარების, სამუშაო ტექნიკისა და სამუშაო აღჭურვილობის უსაფრთხო გამოყენებისა და შეკეთების შესახებ.
5. პირველადი გადაუდებელი დახმარების ტრენინგი/ინსტრუქტაჟი:
 - ა) საოფისე/ადმინისტრაციული საქმიანობის განმახორციელებელი დანაყოფის დასაქმებულთა ნაწილისათვის (არანაკლებ შემადგენლობის 10%);
 - ბ) საინჟინრო-ტექნიკური საქმიანობის განმახორციელებელი დანაყოფის დასაქმებულთა ნაწილისათვის (არანაკლებ შემადგენლობის 20%);

4. გათვალისწინებული ინსტრუქტაჟის ჩატარება ხორციელდება: (საწყისი ინსტრუქტაჟი):

- ა) დასაქმებულის დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე.
- ბ) დასაქმებულთა სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას.
- გ) ახალი ტექნოლოგიური პროცესებისა და სამუშაო მეთოდების დანერგვის, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე.
- დ) საწყის ინსტრუქტაჟს ატარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

5. განმეორებითი ინსტრუქტაჟი:

- ა) წინამდებარე გეგმის მიხედვით ან საჭიროებისამებრ (მაგ. ინციდენტის შემთხვევაში).
- ბ) განმეორებით ინსტრუქტაჟს ატარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

6. მიზნობრივი ინსტრუქტაჟი:

- ა) უშუალოდ სპეციფიკური და იშვიათად შესასრულებელი სამუშაოების ჩატარების დაწყებამდე
- ბ) მიზნობრივ ინსტრუქტაჟს ატარებს სამუშაოს ხელმძღვანელი.

7. ინსტრუქტაჟი/სწავლება ყველა მსმენელისთვის არის უფასო და ტარდება სამუშაო საათებში. ტრენინგებისთვის გაცდენილი დღეები ითვლება საპატიოდ და ანაზღაურდება სამუშაო საათების პროპორციულად.

მუხლი 15. უბედური შემთხვევების და პროფესიული დაავადების აღრიცხვა-მოკვლევის წესი

1. ბსუ-ს სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევის და პროფესიული დაავადების აღრიცხვა, მოკვლევა და ანგარიშგება ხორციელდება საქართველოს

ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 12 სექტემბრის №01-11/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სამუშაო სივრცეში მომხდარი უბედური შემთხვევების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესის“ და „პროფესიული დაავადებების აღრიცხვის, მოკვლევისა და ანგარიშგების წესის“ შესაბამისად.

2. აღრიცხვა ხორციელდება ქვემოთ მოცემული ფორმის ჟურნალებში:

უბედური შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი

N	უბედური შემთხვევის სახე	შემთხვევის ადგილი	დაზარალებული	მომხდარის მიზეზები	მოკვლევის აქტის თარიღი/N	დასკვნა

პროფესიული დაავადებების აღრიცხვის ჟურნალი

N	პროფესიული დაავადების სახე	შემთხვევის ადგილი	დაზარალებული	მომხდარის მიზეზები	მოკვლევის აქტის თარიღი/N	დასკვნა

მუხლი 16. საშიში შემთხვევის (ინციდენტის) მოკვლევა

1. საშიში შემთხვევების (ინციდენტების) მოკვლევის აუცილებლობას საფუძვლად უდევს ინციდენტის გამომწვევი ფაქტორის დადგენა და განმეორებისაგან დამცავი პრევენციული ღონისძიებების შემუშავება.
2. საშიში შემთხვევა (ინციდენტი) ეს არის სამუშაო პროცესში ან სამუშაო პროცესთან დაკავშირებული იდენტიფიცირებადი მდგომარეობა (ტექნიკური ინციდენტი, სიმალიდან ვარდნა, აფეთქება, ხანძარი, მავნე ნივთიერების გაჟონვა და სხვა), რომელსაც არ გამოუწვევია უბედური შემთხვევა, თუმცა იყო ადამიანის დაზიანების რისკი და რომელმაც გამოიწვია მატერიალური ზიანი ან/და სხვა არასასურველი შედეგი.
3. შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, მომუშავე პერსონალთან ერთად, მოახდენს ინციდენტის მოკვლევას, მისი გამომწვევი ფაქტორის დასადგენად.
4. მოკვლევას ექვემდებარება კონტრაქტორის მიერ გამოწვეული ინციდენტებიც. თუ კონტრაქტორი იყენებს ინციდენტების მოკვლევის საკუთარ პროცედურას, ინციდენტის

მოკვლევა უნდა შესრულდეს უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირების ჩართულობით და მათი შედეგები აუცილებლად უნდა ეცნობოს ხელმძღვანელობას, შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

„ბსუ-ს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმისა და ინსტრუქტაჟების დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 01 მარტის № 01-02/29 ბრძანების

დანართი N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმის ინსტრუქტაჟები

ბსუ-ში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში „ბსუ“) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ინსტრუქტაჟი (შემდეგში „ინსტრუქტაჟი“ შემუშავებულია „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილებით დამტკიცებული „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტისა და სახანძრო უსაფრთხოების სფეროსი მოქმედი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ინსტრუქცია ადგენს სახანძრო უსაფრთხოების ზოგად მოთხოვნებს და მიზნად ისახავს ბსუ-ის პერსონალისთვის (აკადემიური, სამეცნიერო, ადმინისტრაციული, დამხმარე თანამდებობის პირები და შრომითი ხელშეკრულებით მოწვეული პერსონალი: არასამტატო პოზიციებზე დასაქმებული დამხმარე პერსონალი, მასწავლებლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები), სტუდენტებისთვის, პროფესიული სტუდენტებისთვის და ვიზიტორებისთვის სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლებასა და ხანძრის შემთხვევაში შესაბამისი ქცევების გამომუშავებას.

3. წინამდებარე ინსტრუქტაჟი ვრცელდება ბსუ-ს სარგებლობაში არსებულ შემდეგ შენობა-ნაგებობებზე:

ა) ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35-ში (ს/კ 05.23.03.004) მდებარე №1 კორპუსი, №2 კორპუსი და №3 კორპუსი;

ბ) ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12-ში (ს/კ 05.24.05.084) მდებარე N4 კორპუსი;

გ) ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5-ში (ს/კ 05.30.26.027) მდებარე №5 კორპუსი;

დ) ქ. ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში (ს/კ 05.25.12.026) მდებარე №6 კორპუსი და №7 კორპუსი;

ე) ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის N26-ში (ს/კ 20.42.11.522; 20.42.11.521) მდებარე №8 კორპუსი;

4. ინსტრუქციის მოთხოვნათა შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფისთვის პასუხისმგებლად დანიშნული პირი (უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი).

მუხლი 2. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ტერიტორიების და შენობა-ნაგებობების მდებარეობა და დახასიათება

1. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. N32/35-ში (ს/კ 05.23.03.004) მდებარე:

ა) №1 კორპუსი, სართულების რაოდენობა: სამი, შენობაში - განთავსებულია აუდიტორიები, ბსუ-ს ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ფაკულტეტის ადმინისტრაცია/დეკანის ოფისი, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი, საერთო სივრცეები, კომპიუტერული კლასები და სხვა. შენობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ოთხი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობის მე-2 სართულზე მოწყობილია II კორპუსში გადასასვლელი, რომელიც აღჭურვილია პანდუსით და პირველი და მეორე სართულები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. ტერიტორიაზე შემოსასვლელად ნინოშვილის ქუჩის მხრიდან მოწყობილია ჭიშკარი;

ბ) №2 კორპუსი, სართულების რაოდენობა: ხუთი (სარდაფით და სხვენიის სართულით), შენობაში განთავსებულია აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, ლაბორატორიები, ფაკულტეტების ადმინისტრაციები/დეკანების ოფისები, სპორტული დარბაზი და სხვა. შენობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი სამი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი და პანდუსი და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით; გარდა ზემოაღნიშნული კორპუსებისა, განთავსებულია დამხმარე ნაგებობა - (დაცვის ჯიხური). ტერიტორიაზე შემოსასვლელად რუსთაველის ქუჩის მხრიდან მოწყობილია ჭიშკარი;

გ) №3 კორპუსი, სართულების რაოდენობა: ოთხი, შენობაში განთავსებულია ბსუ-ს დამხმარე სტრუქტურული ერთეულები, სტომატოლოგიური კლინიკა „ბსუ დენტი“, ფსიქოლოგიის კლინიკა, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ცენტრები, აუდიტორიები და სხვა. შენობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი) და ცეცხლმაქრეებით. ტერიტორიაზე, გარდა ზემოაღნიშნული კორპუსებისა, განთავსებულია დია სპორტული მოედანი;

2. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. №12-ში (ს/კ 05.24.05.084) მდებარე №4 კორპუსი, სართულების რაოდენობა: ოთხი (სარდაფით), შენობაში განთავსებულია ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის საინჟინრო მიმართულების სასწავლო აუდიტორიები, ლაბორატორიები ადმინისტრაციები/დეკანების ოფისები, ფაბლაბი, საგამოცდო ცენტრი, სტამბის მანქანა- დანადგარების განთავსების ოთახი). შენობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი და პირველი სართული ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით (ცეცხლმაქრეებით), საევაკუაციო გეგმებით, ადრეული გაფრთხილების სისტემით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. ტერიტორიაზე, გარდა კორპუსებისა, განთავსებულია საქვაბე.

3. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ქ. ბათუმი, გრიშაშვილის ქ. №5-ში (ს/კ 05.30.26.027) მდებარე: №5 კორპუსი, სართულების რაოდენობა: ორი, შენობაში განთავსებულია ბსუ-ს აგრარული და მემზრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის ადმინისტრაცია და ლაბორატორიები; ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების ადმინისტრაცია და აუდიტორიები. შენობა-ნაგებობა აგებულია რკინაბეტონით და აგურებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი სამი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი და პირველი სართული ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. ტერიტორიაზე, გარდა ორსართულიანი კორპუსისა მდებარეობს ტექნიკის კონსტრუირების, დამზადების და გამოცდის უბნის ერთსართულიანი შენობა, საქვაბე და სათბური.

4. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ბათუმი, ლეონიძის ქ. N 15-ში (ს/კ 05.25.12.026) მდებარე:

ა) №6 კორპუსი, სართულების რაოდენობა: სამი (სარდაფით), შენობაში განთავსებულია ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო აუდიტორიები, ადმინისტრაციის ოფისი და საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ტექნოპარკი შენობა აგებულია რკინაბეტონის კარკასით, კედლები მოწყობილია იზო-თერმული ბლოკით, ტიხრები მოწყობილია ბეტოფანის ფილებით ქვაბამბის იზოლაციით, სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი და პანდუსი და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის.

ბ) №7 კორპუსი - სართულების რაოდენობა: ოთხი (სარდაფით), შენობაში განთავსებულია უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი. შენობა აგებულია რკინაბეტონის კარკასით, კედლები და ტიხრები მოწყობილია სენდვიჩ-ცემენტის ბლოკებით, სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი და პანდუსი და ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსები აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. ტერიტორიაზე, გარდა სასწავლო კორპუსისა და სტუდენტთა საცხოვრებლისა განთავსებულია საქვაბე.

5. ბსუ-ს მართლზომიერ სარგებლობაშია ქ. ქობულეთი, ჰეიდარ აბაშიძის N26-ში (ს/კ 20.42.11.522; 20.42.11.521) მდებარე №8 კორპუსი - სართულების რაოდენობა: სამი (სარდაფით), შენობაში განთავსებულია ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ადმინისტრაცია და ლაბორატორიები. შენობა-ნაგებობა აგებულია რკინაბეტონის კარკასზე, კედლები ამოყვანილია სენდვიჩ-ცემენტის ფილებით. სართულებს შორის კავშირი ხორციელდება ბეტონის საფეხურებიანი ორი კიბის უჯრედით, რომელსაც მოწყობილი აქვს ლითონის კონსტრუქციის მოაჯირი. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი და ლიფტი. შენობა ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. კორპუსი აღჭურვილია შესაბამისი სახანძრო ინვენტარით, საევაკუაციო გეგმებით, სახანძრო სიგნალიზაციით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ავარიული განათებით, საევაკუაციო გზის მაჩვენებლებით (მანათობელი), ცეცხლმაქრეებით, მაღალი წნევის ხანძარსაწინააღმდეგო წყლის სისტემით. ტერიტორიაზე, გარდა ინსტიტუსის შენობისა მდებარეობს ერსართულიანი საყარაულო ჯიხური, დამხმარე ნაგებობა და საწყობი, მისასვლელი გზა და შენობის წინ მდებარე მოედანი მობეტონებულია და კეთილმოწყობილია, ირგვლივ გაშენებულია სამკურნალო მცენარეების ბაღი.

მუხლი 3. ცეცხლის კლასების სახეები და მათ ჩასაქრობად გამოსაყენებელი მასალები

1. ცეცხლის გაჩენის გამომწვევი მიზეზის მიხედვით არსებობს ცეცხლის სხვადასხვა სახე (კლასი):
 - ა) A კლასი - ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი მყარი მასალებისგან, როგორცაა: ხე, ქაღალდი, მუყაო, თივა, პლასტიკატი, ქსოვილები და სხვ;
 - ბ) B კლასი - ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი ცეცხლსაშიში აალებადი და ფეთქებადი თხევადი მასალებისგან, როგორცაა: ბენზინი, ნავთი, ნავთობი, საღებავები და სხვა ორგანული გამხსნელები;

გ) C კლასი - ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ჩვეულებრივი ცეცხლსაშიში აირებისგან, როგორცაა: წყალბადი, მეთანი, პროპანი, ბუტანი, აცეტილენი, პროპილენი და სხვა ;

დ) D კლასი - ცეცხლი, რომელიც გამოწვეულია ცეცხლსაშიში ლითონისაგან, როგორცაა: წყალთან, გაზთან და/ან სხვა ქიმიკატთან მყისიერად მოქმედი მაგნიუმი, ტიტანი, კალიუმი და ნატრიუმი;

ე) E კლასი - ცეცხლი, რომლის მიზეზია ელექტროდანადგარი. ასეთი ხანძრის შემთხვევაში მის ჩასაქრობად გამოიყენე მხოლოდ მშრალი ცეცხლმაქრი, შესაბამისი კლასის დაშვებით (იხ.ცეცხლმაქრის წარწერა) და არასოდეს გამოიყენო წყალი;

ვ) F კლასი - სამზარეულოს/ საკვები ზეთებიდან წარმოშობილი ხანძარი.

ცეცხლმაქრების სახეები და მათი გამოყენების დასაშვებობა სხვადასხვა კლასის ხანძრის დროს

ხანძრის კლასები						
	წყალი	მშრალი ფხვნილი	ქაფი	CO2	სველი ქიმიკატი	სპეც-ფხვნილი
ნახშირბადოვანი მხალა	✓	✓	✓	✗	✓	✗
ადეილალუმბადი ხითხეები	✗	✓	✓	✓	✗	✗
ადეილალუმბადი აირები	✗	✓	✗	✗	✗	✗
ადეილალუმბადი ლითონები	✗	✗	✗	✗	✗	✓
ელექტრომოწყობილოები	✗	✓	✗	✓	✗	✗
საკვები ზეთები	✗	✗	✗	✗	✓	✗

მუხლი 4. ხანძრის შემთხვევაში მოქმედების წესი

1. ბსუ-ში ხანძრის ან წვის ნიშნების (დაკვამლიანების, დამწვრის სუნი ტემპერატურის აწევის და ა.შ) აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტის თითოეული თანამშრომელი, სტუდენტი, პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა) შეწყვიტოს სამუშაო (სწავლება, სწავლა), დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ უნივერსიტეტის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების სამსახურს (თუ თავად არის ამ სამსახურში დასაქმებული - ადმინისტრაციის ხელმძღვანელს) და სახანძრო სამაშველო სამსახურს ტელეფონის მეშვეობით ნომერზე „112“ შეატყობინოს ხანძრის შესახებ;

ბ) რეაგირების ძალების ინციდენტის ადგილზე მოსვლამდე თუ თქვენ იცით ცეცხლმაქრით სარგებლობა, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოიყენეთ იგი და შეძლებისდაგვარად მიიღეთ შესაბამისი ზომები ადამიანების ევაკუაციისათვის და მათი სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ასევე გარემოს ან/და ქონების გადასარჩენად;

გ) ხანძრის აღმოჩენისთანავე/განგაშის სიგნალის გაგონებისთანავე გამორთოს მასზე განპიროვნებული ელექტროდანადგარები და ხელსაწყოები, მიხუროს ოთახების კაბინეტების და აუდიტორიების ფანჯრები და კარები, რაც ხელს შეუშლის ცეცხლის გავრცელებას და პანიკის გარეშე გაემართოს ცეცხლის საპირისპირო მიმართულებით და ყოველ სართულზე გამოკრული ევაკუაციის გეგმის მიხედვით, სადაც მწვანე ფერის ისრებით არნიშნულია საევაკუაციო გზა, დატოვოს შენობა და შეიკრიბოს საევაკუაციო პუნქტზე, რომელიც მითითებულია შესაბამის საევაკუაციო გეგმაზე.

დ) საევაკუაციო პუნქტზე შეკრებილები ადგენენ პირებს, რომლებსაც არ დაუტოვებიათ შენობა და ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწის წარმომადგენელის - დაცვის მორიგე თანამშრომელის მეშვეობით აწვდიან ამ ინფორმაციას საგანგებო შტაბს. მაგალითისთვის წარმოდგენილია საერთო საცხოვრებლის მე-4 სართულის საევაკუაციო გეგმა:

საქსპაპუაციო გეგმა
IV სართული

მისამართი: ქ.ბათუმი, ლეონიძის ქ. №15

Evacuation Plan
4th Floor

Address: Batumi, Leonidze St. N15

თქვენ იმყოფებით აქ
(You are here)

	თქვენ იმყოფებით აქ (You Are Here)
	ძირითადი გზა განსვენებისკენ (Main Route To Exit)
	სამეორეო ან განსვენებისკენ (Secondary To Exit)
	საევაკუაციო კოშკი (Evacuation Stairs)
	სასანთო ღილაკი (Fire Button)
	საქვანაძე (Fire Extinguisher)
	სასანთო მიწები (Fire Hose Reel)
	სამსახურის შეკრები (Assembly Point)

ხანძრის შემთხვევაში
In case of fire:

- იმყოფებით ადგილის მიხედვით
(Evacuate according to plan)
- დაუძახეთ 112-ში და შეატყობინეთ
ხანძრის შესახებ
(Call 112 and inform about fire)
- ადგილზე შეჰყავთ ღია მარცხენი
(Follow green light)

ძირითადი გეგმა
Main Plan

საქსპაპუაციო გეგმების განყოფილება
საქსპაპუაციო გეგმების განყოფილება
საქსპაპუაციო გეგმების განყოფილება



მუხლი 5. ხანძრის ჩაქრობა

1. ხანძრის ჩაქრობის აუცილებელი პირობაა მოშორდეს ხანძრის ადგილიდან შემდეგი სამი ელემენტი:

- ა) ყველა ადვილად აალებადი და ფეთქებად საშიში მასალა (საწვავი);
- ბ) ჟანგბადი (ყველა უსაფრთხოების წესის დაცვით);
- გ) მაღალი ტემპერატურა (გაითიშოს ელექტროენერგია).




მუხლი 6. ცეცხლმაქრის გამოყენების წესი

1. „ბსუ“ პერსონალი, სტუდენტები, პროფესიული სტუდენტები და ვიზიტორები ცეცხლმაქრის გამოყენებისას ვალდებული არიან ცეცხლმაქრის გამოყენებისას დაიცვან და გაითვალისწინონ შემდეგი პირობები:


- ა) ცეცხლმაქრი დაიკავონ სახელურით და შეძლებისდაგვარად მიუახლოვდნენ ცეცხლს. მუდმივად დაიცვან დისტანცია და დარწმუნებული იყოს, რომ საევაკუაციო გასასვლელი ცეცხლთან ახლოს არ არის. ცეცხლს მიუახლოვდნენ ქარის მიმართულების მხრიდან;
- ბ) მოხსნან უსაფრთხოების რგოლი;
- გ) ცალი ხელით სახელურით დაიჭირონ ცეცხლმაქრი, მეორე ხელით დაიჭირონ შლანგი და მიმართოს ცეცხლის მიმართულებით;
- დ) შლანგი დაუმიზნონ ცეცხლის ძირს და მიუშვას ჰორიზონტალურად და ამოძრავოს აქეთ-იქეთ;

- ე) ცეცხლის ყველა ჩამქრობი პირი უნდა იდგეს და ცეცხლს აქრობდეს ერთი მხრიდან;
- ვ) ცეცხლმაქრის ბოლომდე დაცლის შემდეგ გაემზადოს მეორის ასაღებად;
- ზ) ცეცხლის ჩამქრობის შემდეგ ცეცხლის გაღვივების თავიდან ასაცილებლად კარგად დაათვალიერონ ნაცარი;




1

მოხსენით უსაფრთხოების რგოლი



2


დაუმიზნეთ ცეცხლის ძირს



3

დააწეეთ ბერკეტს


არასწორია



4

ამოძრავეთ აქეთ-იქეთ

სწორია



დადებით ქარის მიმართულებით

ცეცხლმაქრი ცეცხლის კერას დაუმიზნე

ყოველთვის დაიტოვე უკან დასახევი გზა

ჩამქრობა დაიწყე წინიდან და მიყევი უკან

ჩაუქრობელი ცეცხლი არ დატოვოთ

გამოყენების შემდეგ შეავსეთ ცეცხლმაქრი და ისე განათავსეთ მის ადგილას




ა) გახსენით სახანძრო კარადა გასაღებით, რომელიც მოთავსებულია კარადის კარზე დამცავი შუშის უკან;

ბ) 90 გრადუსით შემოვებრუნოთ კასეტა, რომელშიც მოთავსებულია სახანძრო სახელო (შლანგი) მასზე დამაგრებული ლულით და ამოიღეთ იგი კასეტიდან;

გ) გაშალეთ სახანძრო სახელო: ხელი მოკიდეთ გარე ხვეულს და გაისროლეთ (გადააგორეთ) ცეცხლის მიმართულებით და დარწმუნდით რომ სახელო არ არის გადახვეული/გადაკეცილი;

დ) ზოგიერთი ტიპის სახანძრო კარადა არჭურვილია დოლურაზე დახვეული სახანძრო სახელოთ, ამ შემთხვევაში დოლურას დატრიალებით და სახელოს გამოქაჩვით ხდება სახელოს გაშლა);



ე) დარწმუნდით, რომ გათიშულია ელექტროენერგია და სახელო მიერთებულია ონკანზე;

ვ) ლულა მიუშვირეთ ცეცხლის ძირს (კერას) და მიეცით სიგნალი ონკანის გასახსნელად;

ზ). ლულა ამოდრავთ აქეთ-იქეთ;



მუხლი 7. ხანძრით გამოწვეული დაზიანება

1. ხანძრით გამოწვეული დაზიანებაა:

ა) პირდაპირი დაზიანება (პერსონალის, ან საკუთრების);

ბ) არაპირდაპირი დაზიანება (გამოწვეული სტრუქტურის დარღვევით, აფეთქებით, ქიმიური და ფიზიკური თვისებების შეცვლით).

2. ხანძრით გამოწვეული ზიანი შეიძლება იყოს:

ა) პირდაპირი (პერსონალის გაგუდვა და/ან მოწამვლა, სხვადასხვა ზედაპირების დაზიანება და კოროზია);

ბ) ირიბი (საევაკუაციო გასასვლელების ხილვადობის გაუარესება/ჩახერგვა);

3. ხანძარი შეიძლება გახდეს დაზიანების მიზეზი - ჰაერში ჟანგბადის გაიშვიათების, ან/და ხანძარ საშიში მასალების დაწვისას გამოყოფილი ტოქსიკური კვამლის გამო.

4. პროდუქტის წვის დროს გამოყოფილი აირებით მოწამლვა არის ის ძირითადი მიზეზი, რომელიც იწვევს სიკვდილის ყველაზე მეტ შემთხვევას ხანძრის დროს.

მუხლი 8. ბსუ-ს პერსონალის ვალდებულება

1. ბსუ-ს პერსონალის ვალდებულება:

ა) დაიცვას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები;

ბ) სამუშაოს დასრულების შემდეგ გამორთოს პერსონალური კომპიუტერი ან/და სხვა ელექტროხელსაწყოები;

გ) სამუშაოს დამთავრების შემდეგ ოთახის დაკეტვის წინ ჩაატაროს დათვალიერება, გამორთოს ელექტროხელსაწყოები და განათება;

დ) დაიცვას უსაფრთხოების ზომები ადვილად აალებადი და წვადი სითხეების და აირების, სხვა ხანძარსაშიში ნივთიერებების, მასალების და მოწყობილობების გამოყენებით სამუშაოების შესრულებისას;

ე) იცოდეს ხანძრის დროს ევაკუაციის გეგმა და ცეცხლმაქრების განთავსების ადგილები;

ვ) იცოდეს ცეცხლმაქრებით სარგებლობის ხერხები;

ზ) არ ჩახერგოს საევაკუაციო გზები და გასასვლელები.

2. ბსუ-ს პერსონალს ეკრძალებათ:

ა) სათავსებში ადვილად აალებადი, წვადი და ფეთქებადი ნივთიერებების შენახვა;

ბ) თამბაქოს მოწევა ბსუ-ს ტერიტორიაზე (გარდა ამ მიზნით სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა);

გ) ბსუ-ს შენობაში და ტერიტორიაზე ქაღალდების ან სხვა ადვილად აალებადი ნივთიერებების ღია მდგომარეობაში დაყრა;

დ) არაქარხნული წესით დამზადებული და გაუმართავი ელექტროხელსაწყოებისა და ელექტრო ინსტრუმენტების გამოყენება;

ე) ქსელში ჩართული ელექტრო ხელსაწყოების უმეტესაწყოებზე დატოვება.

მუხლი 9. ხანძარსაშიში სამუშაოების ჩატარება

1. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებისას:

ა) სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.

ბ) ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების ადგილები უზრუნველყავი ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებებით (ცეცხლმაქრი, ყუთი ქვიშითა და ნიჩბით, ვედრო წყლით).

გ) ტექნოლოგიური მოწყობილობა, რომელზეც გათვალისწინებულია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება, მოიყვანე ფეთქებადხანძარუსაფრთხო მდგომარეობაში.

დ) სათავსები, სადაც შესაძლებელია ადვილად აღება და წვადი სითხეების, აგრეთვე წვადი აირების ორთქლის დაგროვება, გაანიავე ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარებამდე.

ე) ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყებამდე და ჩატარების დროს ტექნოლოგიურ მოწყობილობებსა და სახიფათო ზონაში აკონტროლე ორთქლაირის გარემოს მდგომარეობა. დაუყოვნებლივ შეაჩერე ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოები წვადი ნივთიერებების შემცველობის მომატების შემთხვევაში ან ფლეგმატიზატორის (წვადი ნივთიერების დანამატი, რომელიც ამცირებს მის მგრძობელობას) კონცენტრაციის დაწვეისას ორთქლის (აირი) ზღვრულად დასაშვებ ფეთქებადსაშიში კონცენტრაციების მნიშვნელობამდე.

ვ) აკრძალულია ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარება შენობის ელემენტებზე, რომლებიც შესრულებულია წვადი მათუნებლებიანი მსუბუქი ლითონის კონსტრუქციებისაგან.

2. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები აირსაშემდუღებლო სამუშაოების ჩატარებისას:

ა) სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.

ბ) გადასატანი აცეტილენის გენერატორები განთავსდეს ღია მოედნებზე, სადაც უნდა გამოიკრას პლაკატები „ცეცხლსაშიშია“, „თამბაქოს მოწევა აკრძალულია“, „ნუ გაივლით ცეცხლით“. აცეტილენის გენერატორები უნდა შემოიღობოს და განლაგდეს ცეცხლის გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების ჩატარების, აგრეთვე კომპრესორებით და ვენტილატორებით ჰაერმიმღები ადგილებიდან არანაკლებ 10 მ-ის მანძილზე.

გ) სამუშაოს დამთავრებისას გადასატან გენერატორში კალციუმის კარბიდი უნდა იყოს გახარჯული. გენერატორიდან მოსაცილებელი კირქვის ლამი უნდა გადმოიტვირთოს ამ მიზნებისთვის განკუთვნილ ტარაში და ჩაისხას ლამის ორმოში ან სპეციალურ ბუნკერში. ლამის ღია ორმოები უნდა იყოს შემოდობილი მოაჯირებით, ხოლო დახურულ ორმოებს ჰქონდეს უწვი გადახურვები, გამწოვი ვენტილაცია და ლამის მოსაცილებელი ლიუკები. აკრძალულია თამბაქოს მოწევა და ღია ცეცხლის გამოყენება ლამის შენახვის ადგილებიდან 10 მ-ის რადიუსში, რის თაობაზეც უნდა იყოს გამოკრული შესაბამისი ამკრძალავი ნიშნები.

დ) აირსადენი შლანგები უნდა იყოს დამაგრებული აპარატურის, სანთურების, საჭრელების და რედუქტორების შემაერთებელ ნიპელზე საიმედოდ, ცალულების (ე.წ. ხამუტი) გამოყენებით. წყლის ჩამკეტების ნიპელზე შლანგები მჭიდროდ უნდა ჩამოეცვას, მაგრამ არ უნდა დამაგრდეს.

ე) კალციუმის კარბიდი უნდა ინახებოდეს ბუნებრივი ვენტილაციის მქონე სათავსებში. დაუშვებელია კალციუმის კარბიდის შესანახი საწყობების განლაგება სარდაფებსა და დაბალ (შესაძლო დატბორვის) ადგილებში.

ვ) აცეტილენის დანადგარების სათავსებში, სადაც არ არის გათვალისწინებული კალციუმის კარბიდის შუალედური საწყობების მოწყობა, დასაშვებია არ აუმეტეს 200 კგ კალციუმის კარბიდის ერთდროული შენახვა, ამასთან, ამ რაოდენობიდან ღია მდგომარეობაში შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი დოლი.

ზ) კალციუმისკარბიდიანი გახსნილი დოლები უნდა იყოს დაცული წყალგაუმტარი სახურავებით.

თ) ადგილებში, სადაც ინახება და იხსნება კალციუმისკარბიდიანი დოლები, აკრძალულია თამბაქოს მოწევა, ღია ცეცხლის გამოყენება და ნაპერწკალწარმოქმნელი იარაღის გამოყენება.

ი) სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენე სპეცტანსაცმელი და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხელთათმანი, დამცავი სათვალე, რესპირატორი) და იქონიე ისინი სუფთა და გამართულ მდგომარეობაში და შეინახე ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

3. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები ელექტროსამუშაოებზე სამუშაოების ჩატარებისას და კუთხსახეხი მანქანის გამოყენებისას:

ა) სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.

ბ) სათავსების იატაკი, სადაც მოწყობილია მუდმივი ადგილები ელექტროსამუშაოებზე სამუშაოების ჩასატარებლად და კუთხსახეხი მანქანის გამოსაყენებლად, უნდა იყოს უწვი მასალის. სათავსებში, სადაც წარმოებს დეტალების შედუღება წინასწარი გახურების გარეშე და კუთხსახეხი მანქანის გამოყენება, მოაწყვე ფენილი უწვი მასალისგან და გამოირიცხე ნაპერწკლების და ნაღვენთების წვად წედაპირებზე მოხვედრა.

გ) ელექტროსაშემდუღებლო დანადგარი მუშაობის დროს უნდა იყოს დამიწებული. ძირითადი საშემდუღებლო მოწყობილობების გარდა დამიწებული უნდა იყოს უშუალოდ ტრანსფორმატორის ის საშემდუღებლო მეორადი გრაგნილის მომჭერი, რომელზეც შეერთებულია უკუგამტარი.

დ) სამუშაოების ჩატარებისას გამოიყენე სპეცტანსაცმელი და სხვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხელთათმანი, დამცავი სათვალე, რესპირატორი) და იქონიე ისინი სუფთა და გამართულ მდგომარეობაში და შეინახე ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას.

მუხლი 10. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები სამეცნიერო ლაბორატორიებისათვის

1. სამეცნიერო ლაბორატორიებში კვლევის დაწყებამდე სამუშაოების ხელმძღვანელი ვალდებულია ჩაუტაროს პერსონალს მიზნობრივი ინსტრუქტაჟი სახანძრო უსაფრთხოების ზომების შესახებ.
2. ექსპერიმენტების ჩატარებისას სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ექსპერიმენტის ხელმძღვანელს.
3. ადვილალეზადი და წვადი სითხეების და წვადი ნივთიერებების მარაგი უნდა ინახებოდეს სპეციალურად მოწყობილ სათავსებში (საკნები).
4. ქიმიური რეაქტივები, რომელთა ერთმანეთთან, წყალთან და ჰაერთან ურთიერთქმედება შეიძლება გახდეს ხანძრის ან აფეთქების მიზეზი, უნდა ინახებოდეს ცალ-ცალკე, შესაბამის შეფუთვაში, უწყ კარადებში. ქილებზე, ბოთლებსა და სხვა შეფუთვებზე, სადაც ინახება ქიმიური რეაქტივები და ნივთიერებები უნდა იყოს წარწერები დამახასიათებელი საშიშროების აღნიშვნით: „ხანძარსაშიში“, „ფეთქებადხანძარსაშიში“, „შხამიანი“, „ქიმიურად აქტიური“. ლაბორატორიის სათავსებში ადვილალეზადი და წვადი სითხეები და აირები სამუშაო ადგილზე უნდა მიეწოდოს შეფუთულ და მსხვრევისაგან დაცულ ტარაში.
5. ლაბორატორიის სათავსებში ყველა სამუშაო, რომელსაც თან ახლავს ფეთქებადხანძარსაშიში ორთქლის და აირის გამოყოფა, უნდა ჩატარდეს გამწოვ კარადებში. აკრძალულია სამუშაოების ჩატარება გამწოვ კარადებში, რომლებსაც აქვთ გაუმართავი ვენტილაცია.
6. გამწოვ კარადებში უნდა იყოს გათვალისწინებული ჰაერის ზედა და ქვედა გაწოვა, თუ ჩატარებულ სამუშაოებს თან ახლავს ხანძარფეთქებადსაშიში ორთქლისა და აირების გამოყოფა.
7. ლაბორატორიის მაგიდები და გამწოვი კარადები, რომლებიც განკუთვნილია ადვილალეზად და წვად სითხეებსა და წვად აირებთან, აგრეთვე ხანძარფეთქებადსაშიში ნივთიერებებთან სამუშაოდ, უნდა იყოს შესრულებული უწყვი მასალებისაგან.
8. ადვილალეზადი და წვადი სითხეების კანალიზაციაში ჩადვრა დაუშვებელია.

9. ხანძარსაშიშ სათავსებსა და ხანძარფეთქებადსაშიშ მოწყობილობებზე უნდა იყოს გამოკრული ღია ცეცხლის გამოყენების ამკრძალავი სახანძრო უსაფრთხოების ნიშნები.

10. წითელი ფოსფორი უნდა ინახებოდეს მჭიდრო საცობის ან ხუფის მქონე მინის ან ლითონის ტარაში, წყალბადის ზეჟანგი (30%-იანი) - ლითონის კონტეინერში მოთავსებულ კორპისსაცობიან მუქი ფერის მინის ჭურჭელში. წითელი ფოსფორი და წყალბადის ზეჟანგი შეიძლება ინახებოდეს ნეიტრალურ მარილებთან (კარბონატები, სულფიდები) ერთად დამჟანგველების, ლითონის ფხვნილებისა და ტუტელითონებისაგან განცალკევებით.

11. ქიმიური ნივთიერებები და მასალები უნდა ინახებოდეს ცალკე სათავსებში ჯგუფებად ფიზიკური, ქიმიური და ხანძარსაშიშ თვისებების ერთგვაროვნების მიხედვით.

12. აზოტის და გოგირდმჟავას შენახვისას უნდა იყოს მიღებული ზომები, რომლებიც გამორიცხავენ მათ შეხებას ხის მასალებსა და სხვა ორგანული წარმოშობის ნივთიერებებთან.

12. სათავსებში, სადაც ინახება ხანძრის დროს გაღობის უნარის მქონე ქიმიური ნივთიერებები, უნდა იყოს გათვალისწინებული ნაღობის თავისუფალი დაღვრის შემზღუდავი საშუალებები (ქიმები, ზღურბლები).

მუხლი 11. სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნები საწყობისათვის

1. ნივთიერებების და მასალების შენახვისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მათი ხანძარსაშიშ ფიზიკურ-ქიმიური თვისებები (დაჟანგვა, თვითგახურება და აალების უნარი ტენის მოხვედრისას, ჰაერთან შეხებისას და ა.შ.) და მათი ჩაქრობათვის გამოყენებულ ცეცხლმაქრ ნივთიერებებთან თავსებადობის ნიშნები.

2. აკრძალულია ერთ სათავსში კაუჩუკთან ან ავტომობილის საბურავებთან ერთად რომელიმე სხვა მასალის და საქონლის შენახვა. ავზები წვადი აირებით, ტარა ადვილად აალებადი და წვადი სითხეებით, აგრეთვე აეროზოლური შეფუთვები უნდა იყოს დაცული მზის სხივებისა და სხვა სითბური ზემოქმედებისგან.

3. საწყობებში ტარის გახსნასთან, საქონლის გამართულობის შემოწმებასა და წვრილმან შეკეთებასთან, პროდუქციის დაფასობასთან, ხანძარსაშიშ სითხეების სამუშაო ნარეგების მომზადებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაცია უნდა განხორციელდეს შენახვის ადგილებიდან იზოლირებულ სათავსებში.

4. დაუშვებელია საწყობების შიგნით აირის ქურებისა და ელექტრო-გამახურებელი ხელსაწყობის ექსპლუატაცია და შტეფსელის როზეტების დაყენება, აგრეთვე მორიგე განათების მოწყობა.

5. საწყობის ელექტრომოწყობილობა სამუშაოს დამთავრების შემდეგ უნდა გაუდენურდეს. ელექტრომომარაგების გასათიში აპარატები უნდა განთავსდეს საწყობის გარეთ უწყვეტად ან ცალკე მდგომ საყრდენზე.

6. საწყობის სათავსებში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი სანათიდან წვად ნივთიერებებსა და მასალებამდე უნდა იყოს არანაკლებ 0,5 მ.

7. ამიაკის გვარჯილა უნდა ინახებოდეს დამოუკიდებელ I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის, უსხვენო, უწვ იატაკიან, ერთსართულიან შენობებში ან სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მინერალური სასუქის I და II ხარისხის ცეცხლმედეგობის საერთო საწყობის ცალკეულ სახანძრო ნაკვეთურში. ძლიერმოქმედი დამჟანგველები (მაგნიუმის და კალციუმის ქლორატები, წყალბადის ზეჟანგი) უნდა ინახებოდეს I, II და III ხარისხის ცეცხლმედეგობის შენობების ცალკეულ ნაკვეთურებში.

მუხლი 12. ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟების აღრიცხვა

1. მონაცემები საწყისი, განმეორებითი და მიზნობრივი ინსტრუქტაჟის გავლის შესახებ შეიტანება „ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის ჟურნალში“, ქვემოთ მოცემული ფორმით, იმ პირების ხელმოწერით, რომლებმაც ჩაატარეს და გაიარეს ინსტრუქტაჟი:

<p style="text-align: center;">განყოფილება, სამსახური</p> <p style="text-align: center;">ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟის აღრიცხვის</p> <p style="text-align: center;">ჟურნალი</p> <p>დაიწყო “___” _____ 202- წ.</p> <p>დამთავრდა “___” _____ 202- წ.</p>						
თარიღი	პირი, რომელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი (გვარი, სახელი, თანამდებობა)	დაბადების წელი	ინსტრუქტაჟის სახეობა (საწყისი, განმეორებითი ან მიზნობრივი)	ინსტრუქტორის გვარი, სახელი თანამდებობა	ხელმოწერა	
					პირი, რამელსაც ჩაუტარდა ინსტრუქტაჟი	ინსტრუქტორი
	2	3	4	5	6	7

ხანძრის შესახებ შეტყობინების მიღების და დაცვის მორიგე თანამშრომლის ქმედების წესის შესახებ

1. უნივერსიტეტის სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტის განთავსების ოთახში მორიგე დაცვის თანამშრომლის (შემდგომში მორიგე) პოზიციაზე დაიშვებიან მხოლოდ 18 წლის ასაკს მიღწეული, ქმედუნარიანი პირები.

2. ყველა მორიგე ვალდებულია:

ა) გაეცნოს უნივერსიტეტში მოქმედ შრომის უსაფრთხოების წესებსა და ინსტრუქციებს და დაიცვას ისინი;

ბ) არ დაუშვას სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტთან უცხო პირები;

გ) დაიცვას ელექტრო და ხანძარუსაფრთხოების ნორმები;

დ) მუდმივად ჰქონდეს მოწესრიგებული სამუშაო ადგილი;

3. ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების შემთხვევაში მორიგის ვალდებულებებია:

ა) ხანძრის შესახებ სიგნალის მიღების შემთხვევაში მორიგემ უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე და მიყვეს წინამდებარე ინსტრუქციას, კერძოდ:

ბ) გამოაცხადოს სახანძრო განგაში ელექტრო ან ხელის მექანიკური ზარის მეშვეობით (თუ უკვე არ არის გამოცხადებული);

გ) დარეკოს ნომერზე „112“ იმ შემთხვევაში თუ საფრთხის წყაროს ლიკვიდაციისთვის საჭიროა სახანძრო/სამაშველო სამსახურის ჩართულობა;

დ) შეატყობინოს უნივერსიტეტის ხელმძღვანელსა და საგანგებო შტაბის უფროსს;

ე) საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული სამაშველო ჯგუფის წევრების მოსვლამდე არსებული საშუალებებით დაიწყოს ხანძრის ლიკვიდაცია;

ვ) საგანგებო მართვის გეგმით განსაზღვრული სამაშველო ჯგუფის მოსვლის შემდეგ ჩაერთოს უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების და სხვა პირების საევაკუაციო ღონისძიებებში - მორიგე დაცვის თანამშრომელი არის საევაკუაციო პუნქტზე ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწის წარმომადგენელი და ვალდებულია ევაკუირებულ პირებთან გასაუბრების მეშვეობით დაადგინოს ინფორმაცია შენობაში

დარჩენილ პირების და მათ ადგილმდებარეობის შესახებ და მიაწოდოს ეს ინფორმაცია ევაკუაციის საკითხებში საგანგებო შტაბის უფროსის თანაშემწეს.

ზ) დაემორჩილოს საგანგებო შტაბის წევრების მითითებებს;

თ) საჭიროების შემთხვევაში მიიღოს მონაწილეობა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენაში;

ი) განახორციელოს ყველა სხვა ქმედება, რომელიც მიმართულია ბსუ-ს სტუდენტების, პროფესიულის სტუდენტების, პერსონალის და სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვისკენ.

4. სახანძრო ავტომატიკის გაუმართაობისას მორიგე დაცვის თანამშრომლის მოქმედების წესი:

ხანძარსაწინააღმდეგო ავტომატიკის გაუმართაობისას მორიგე ვალდებულია:

ა) დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს დაწესებულების ხელმძღვანელს, საგანგებო შტაბის უფროსს და მოახსენოს აღნიშნულის შესახებ;

ბ) ავტომატიკის გაუმართაობის აღმოფხვრამდე, განსაკუთრებულ რეჟიმში ამოწმოს შენობა/შენობები.

გ) ხანძრის შემთხვევაში განგაშის სისტემის გაუმართაობისას, გამოიყენოს მექანიკური ზარი საგანგებო სიტუაციის შეტყობინება/მაუწყებლობისთვის.

5. შრომის უსაფრთხოების მოთხოვნები სამუშაოს დასრულების შემდეგ სამუშაოს დასრულებისას, მორიგე ვალდებულია:

ა) გადააბაროს სახანძრო სიგნალიზაციის მართვის მიმღებ-მაკონტროლებელი პულტი მის შემცვლელ მორიგეს;

ბ) მიაწოდოს ადმინისტრაციას ინფორმაცია მის მორიგეობის პერიოდში გამოვლენილ ნებისმიერ დარღვევაზე;

გ) მოაწესრიგოს საკუთარი სამუშაო ადგილი/მაგიდა;

